კვირეული „ვერსია“, „ვერსიის“ ფრთა

ვერსია

№37 (1627) 21 — 27 სექტემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

სოხუმის დაცემის 29-წლიანი საიუბილეო

სკანდალური რეალობა, რომელსაც თვალს არ ვუსწორებთ

უნდა ჰქონდეს თუ არა დიდი ქონება სასულიერო პირს



ვლადი ნარსია: „ადამიანები აღმოაჩენენ, რომ ბინძური ცხოვრების „გამპრავებელი“ სჭირდებათ და მიაკითხავენ ნაძირალა მღვდლებს“

ვინ არის და რა ქონებას ფლობს მომავალი გენერალური აუდიტორი

უცნობი და ნაცნობი ფაქტები ცოტნე ყავლაშვილზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

არჩილ გამგზარდია: „საქართველოში პოლიტიკა მოკვდა!“

„ედუარდ სააკაშვილმა მთელი ჩვენი პოლიტოლოგების ბოდვები ძალიან მარტივად დასვა თავის ადგილას!“

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ორბელიანების სასახლეში გუდაურთან სამაშველო ოპერაციის დროს დაღუპულთა დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტმა გუდაურის ტრაგედიის დროს დაღუპული მფრინავები, მაშველები და ექიმები მედლით – „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დააჯილდოვა.

ორბელიანების სასახლეში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახის წევრები დაესწრნენ.

„პირველ რიგში, მინდა, მივესალმო დაღუპული გმირების ოჯახებს, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ეს არა მხოლოდ თქვენი, არამედ, ქვეყნის მწუხარებაა.

მინდა, მივესალმო შს მინისტრს, ჯანდაცვის მინისტრს და პატივცემულ საზოგადოებას.

ჩვენ აქ ვართ შეკრებილნი იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ გმირებს. თავდადება ამას ჰქვია, როცა ბოლომდე გასწირავ თავს იმისთვის, რომ გადაარჩინო სხვა. ეს, ალბათ, ადამიანის უმაღლესი ღირსებაა, როცა შეგიძლია, სხვისი სიცოცხლისთვის თავი გასწირო. ჩვენ ეს არასოდეს უნდა დავივიწყოთ“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ცერემონიალზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, მომხდარი ტრაგედიის გამო კიდევ ერთხელ გამოთქვა მწუხარება და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს თანადგომა აღუთქვა.

ვახტანგ გომელაურმა საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს მადლობა გადაუხადა გარდაცვლილი თანამშრომლების დაჯილდოებისთვის. მინისტრმა ასევე მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიოს და სრულიად საპატრიარქოს თანადგომისთვის.

„ამ ოპერაციის დროს, რვა ადამიანი დაიღუპა – ოთხი მფრინავი, ორი მაშველი და ორი ექიმი, რომლებიც ცდილობდნენ, სხვისი სიცოცხლის გადარჩენას. ერთ-ერთი მორიგი ღონისძიება იყო, სამაშველო ოპერაცია, თუმცა, სამწუხაროდ, დიდი უბედურებით დამთავრდა. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი გმირები, პროფესიონალები.

მინდა, კიდევ გავიმეორო, ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, თუ რამით შეიძლება, ცოტათი მაინც რომ შეგიმსუბუქოთ ეს დიდი ტკივილი. დღევანდელი ღონისძიებაც ზუსტად ამის გამოძახილია და მინდა, დიდი მადლობა მოგახსენოთ, ქალბატონო პრეზიდენტო. ეს არის დიდი დაფასება ყველასთვის, მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და მინდა, მადლობა მოგახსენოთ ყველას სახელით. ასევე, მსურს მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერ-მინისტრს გვერდში დგომისთვის, დაფასებისთვის. აგრეთვე, მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გვერდში დგომისა და ამ ტკივილის გაზიარებისთვის. მადლობას ვუხდი მეუფეებს, მეუფე შიოსა და სრულიად საპატრიარქოს“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, 29 ივლისს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი დაჯილდოვდნენ სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახებმა, მატერიალური დახმარების სახით, 100 ათასი ლარი მიიღეს.

ვახტანგ გომელაურმა გაერთიანებული სამეფოს საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური გაერთიანებული სამეფოს საელჩოში იმყოფებოდა, სადაც დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით, ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ბრიტანელი ხალხის წინაშე, მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალების გამო. 70-წლიანი მმართველობის განმავლობაში, მისი უდიდებულესობა განსაკუთრებული ღირსებითა და თავდადებით ემსახურა გაერთიანებულ სამეფოს. დედოფალმა ელისაბედ II-მ წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში და მისი ხსოვნა მარადიული იქნება“, – წერს ვახტანგ გომელაური.

კატარის შსს-მ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში გაცემული მართვის მოწმობების აღიარების შესახებ

კატარში, საქართველოს საელჩოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, კატარის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში გაცემული მართვის მოწმობების მიმდინარე წლის 14 სექტემბრიდან აღიარების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება გულისხმობს კატარის ბინადრობის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის საქართველოში გაცემული მართვის მოწმობის გამარტივებული წესით შეცვლას. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ კატარის ბინადრობის მოწმობას, ყოველგვარი დამატებითი ტესტირებისა და სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის გარეშე, შეძლებენ საქართველოში გაცემული მართვის მოწმობის შეცვლას და შესაბამისი კატეგორიის კატარული მართვის მოწმობის აღებას.

რაც შეეხება საქართველოში გაცემული მართვის მოწმობის გამოყენებას კატარში ტურისტულად მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირს, რომელიც ფლობს საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობას, თან ასევე უნდა ჰქონდეს საქართველოს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ე.წ. საერთაშორისო მართვის მოწმობა, რომლითაც ის შეძლებს ისარგებლოს კატარში ჩასვლიდან სამი თვის მანძილზე.

დაინტერესებულმა მოქალაქეებმა მართვის მოწმობის შესაცვლელად უნდა მიმართონ კატარის საგზაო მოძრაობის დეპარტამენტის ცენტრალურ ოფისს.

ალექსანდრე დარახველიძე შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში ეუთოს თავმჯდომარეობის პირად წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში ეუთოს თავმჯდომარეობის პირად წარმომადგენლებს – რეჯინა პოლაკს, ენდრიუ ბეიკერსა და ისმაილ ჰაკი მუსას შეხვდა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) წარმომადგენლები – ტატიანა პერიჩი და მიკოლაი ვუეჩენკოვსკი, აგრეთვე, ეუთოს პოლონეთის თავმჯდომარეობის სპეციალური მრჩეველი, ევა საპიეზინსკა.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ ისაუბრა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის განხორციელებას.

შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში ეუთოს თავმჯდომარეობის პირადი წარმომადგენლების ვიზიტის მიზანია ქვეყანაში ტოლერანტობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოწვევების შეფასება.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში ეუთოს თავმჯდომარეობის პირად წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტულია ეუთოს ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

სოხუმის დაცემის 29-წლიანი საიდუმლო

ვანო პავლიაშვილი

ერთ კვირაში 27 სექტემბერია – სოხუმის დაცემის დღე. ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სევდიანი თარიღია, თარიღი, რომელიც ლამის 30 წელია, ჩვენს ცხოვრებას შავ ლაქად ატყვია. რატომ დავკარგეთ სოხუმი? – ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება, მაგრამ დასაბუთებულად, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ, სოხუმის დაცემას ხელი ღალატმაც შეუწყო თუ არა. „სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, რომელიც სოჭში, 27 ივლისს, ორ მხარეს შორის დაიდო. შეთანხმება 16 სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონიდან უკვე გაყვანილი ჰყავდა. გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასობრივ შეტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა.

ქალაქის აღების შემდეგ შემოსულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს. ადგილობრივი მთავრობის წევრები – ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ხოლო ალექსანდრე ბერულავა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. რამდენიმე დღეში, სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს (კოდორის ხეობის გარდა).

„საქართველოს შეიარაღებული ძალების სრულ დამარცხებას რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. გადარჩენილი, 250 000-ზე მეტი ეთნიკურად ქართველი, ბერძენი თუ სხვა უმცირესობები აფხაზეთიდან ლტოლვილ-დევნილი გახდა“, – ვკითხულობთ ქართულ ვიკიპედიაში.

და მაინც, რატომ დაეცა სოხუმი? – შევეცდები, ამ კითხვაზე, მეტ-ნაკლებად, ამომწურავი პასუხი შინაგანი ჯარების ყოფილი სარდლის, გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებით გავცე, რომელიც ჩემს პირად ჟურნალისტურ არქივში ინახება...

სკანდალური რეალობა, რომელსაც თვალს არ ვუსწორებთ

დაცემა

... 1993 წელი. აფხაზეთში ომი მძვინვარებს...

საქართველოს ტელევიზიის ეთერში, ფრონტის წინახაზიდან მიღებულ ცნობებს ტურისტული ბიუროების რეკლამა ცვლის... თბილისის აეროპორტი სრული დატვირთვით მუშაობს. ერთი თვითმფრინავიდან აფხაზეთში დაჭრილ-დასახიჩრებული ბიჭები ჩამოჰყავთ, მეორედან დუბაიში ნაყიდი „ტავარი“ ჩამოაქვთ...

სოხუმი მალე დაეცემა!..

... შინაგანი ჯარის დანაყოფმა, გენერალ ლანჩავას მეთაურობით, გუმისთასთან ერთ-ერთ სკოლას ალყა შემოარტყა... ტყვიამფრქვევი არ ჩერდება, მტერი დანებებას არ აპირებს... ქართველებმა მაინც ივაჟკაცეს, შენობაში შევიდნენ და... გახევდნენ: სკოლაში, თურმე, სულ ოთხი ჩეჩენი ყოფილა. ოთხივე მკვდარი იყო. ერთ ჩეჩენს, თანამებრძოლები რომ დაღუპვია და ტყვიებიც გასთავებია, ფეხზე გაუხდია და ცერი ავტომატის სასხლეტისთვის გამოუკრავს, თურმე... ქართველები მისთვის მტრები იყვნენ. მტერს კი ცოცხალი არ ჩაბარდა და ბოლო ტყვიით თავი მოიკლა!..

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... აფხაზეთის ომში, ქართველებსა და ჩეჩნებს შორის რაღაცნაირი გულმოწყალე დამოკიდებულება იყო. ისეც ხდებოდა, ქართველები ტყვედჩავარდნილ ჩეჩნებს იარაღს აყრიდნენ და შინ უშვებდნენ. იქითა მხრიდანაც იყო ამის მაგალითები“...

... ტამიშს აფხაზები აკონტროლებენ. ეს კი, პრაქტიკულად, სოხუმის დაკარგვას ნიშნავს. მაშ ასე, საჭიროა ტამიშის დაბრუნება!.. 1993 წლის ივნისში, შინაგანი ჯარი საბრძოლო ტექნიკის ოჩამჩირეში გადაყვანასთან დაკავშირებით ბრძანებას მიიღებს. მოგვიანებით, გელა ლანჩავას ნაწილს ლოთი ქობალიას, „მხედრიონისა“ და 24-ე ბრიგადის მეომრები შეუერთდებიან. საგანგებო თათბირზე გელა ლანჩავას, ზაურ უჩაძისა და შინაგანი ჯარის პირველი ბრიგადის მეთაურის, გუჯარ ყურაშვილის გეგმას განიხილავენ, რომლის თანახმადაც, ჯარის გადაჯგუფება უნდა დაიწყოს და შეტევითი ოპერაციები მომზადდეს.

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... კარგად გვესმოდა, რა მნიშვნელოვან საქმეს ვიყავით შეჭიდებულნი და ძალ-ღონის უკიდურესი დაძაბვით, თავდაუზოგავად ვიშრომეთ. შეტევაში, შინაგანი ჯარის გარდა, მონაწილეობა უნდა მიეღო „მხედრიონს“, გვარდიას – ჯემალ ჭუმბურიძის მეთაურობით და ლოთი ქობალიას ნაწილებს. ეს უკანასკნელი ზღვის სანაპირო ზოლიდან უნდა მოგვხმარებოდა. სიმართლე გითხრათ, ქობალიას იმედი არ მქონდა, თუ რატომ, ამასაც მოგახსენებთ: ტამიშის შესასვლელთან, „პიტომნიკი“ იყო, სადაც აფხაზები იყვნენ განლაგებულნი. მძიმე ტექნიკის დასაცავად ცოცხალი ძალა არ გვყოფნიდა. ქობალიამ 70 კაცით დახმარება აღგვითქვა, მეტი არ მყავსო. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ გაირკვა, 250 კაცზე მეტი ჰყავდა... „პიტომნიკის“ კედლები, პირველმა, ჭუმბურიძის ტანკებმა შეანგრიეს და ამით ჩემს ნაწილებს გაუხსნეს გზა. ძალზე ივაჟკაცა „მხედრიონმაც“. რაც შეეხება შინაგან ჯარს, მის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ეს კარგად ორგანიზებული, ჭეშმარიტი მეომრებითა და სერიოზული ხალხით დაკომპლექტებული ჯარიაო... ასე რომ, ტამიში დავიბრუნეთ“...

... ქალაქში შესული ქართველები საშინელი სურათის მოწმენი გახდებიან: ქუჩებში სისხლის გუბეები დგას, მიწა გვამებითაა დაფარული. დახოცილთა უმრავლესობა ქართველია... უდავოა, ქართველებმა უშეღავათო ბრძოლა გადაიტანეს!.. ერთ-ერთ „ბლინდაჟში“ ლანჩავა თვალს ზიჩისეულ „ტარიელისა და ვეფხის ბრძოლას“ მოჰკრავს.

დასასრული მე-4 გვერდზე

სოხუმის დაცემის 29-წლიანი საიდუმლო

მე-3 გვერდიდან

– ნეტავ, ეს ნახატი ბიჭებს ვინ მისცა? – გაიფიქრებს გენერალი და გული სიამაყით აევსება.

ამონარიდი გენერალ გელა ლანჩავას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან:

„... შეტევის წინ, ერთი საოცრება მოხდა: ჯარისკაცებთან ერთად, ქუჩაში, შიშველ მიწაზე მეძინა. დილით, თვალი რომ გავახილე, პირველი, რაც დავინახე, ეს იყო ხის ფოთლებში, მზის სხივებით „მოქარგული“ ჯვარი, უზარმაზარი, ცეცხლისფერი ჯვარი. გავოგნდი. ღვთის მიერ მოვლენილ სასწაულად მივიჩნიე. მაშინვე ვიდეოკამერით გადავაღებინე. არ ვიცი, შემთხვევითობა იყო ეს, თუ მართლაც სასწაული, მაგრამ ფაქტი ერთია: იმ დღეს, ტამიშის ბრძოლაში ჩემი არც ერთი ჯარისკაცი არ დაღუპულა!“

... ტამიშის ბრძოლისთვის გელა ლანჩავას ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი მიენიჭება. 1993 წლის ივლისის ბოლოს, გენერალი თბილისში დაბრუნდება... 8 აგვისტოს, დილის 04.00 საათზე, ლანჩავას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, დავით მგელაძე სამთავრობო ტელეფონით დაურეკავს და აცნობებს, რომ 08.00 საათზე შევარდნაძესთან უნდა იყოს. საგანგებო თათბირზე, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი, თემურ ხაჩიშვილი და დავით მგელაძეც ესწრებიან, შევარდნაძე ლანჩავას შს მინისტრის მოადგილის პოსტს შესთავაზებს. იმავე დღეს, შინაგანი ჯარის სარდლად გენერალ-მაიორი ჩიქოვანი დაინიშნება. მერე, წლები რომ გავა, გელა ლანჩავა მემუარებში დაწერს:

„... გულსატკენია, როცა ვინმე, პირადი მტრობის საფუძველზე, საქვეყნო საქმეს აფუჭებს. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: 1992 წლის ოქტომბერი იდგა. აფხაზეთში ომი მძვინვარებდა. მთავრობაში უშიშროების საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა. შუა თათბირზე, ძალზე გაჯავრებულმა ბატონმა ედუარდმა რაღაც ფურცელი გამომისრიალა მაგიდაზე და დააყოლა, გელა, ამ ამბებს ბოლო აღარ უნდა მოეღოს? ფურცელს დავხედე. ეს იყო ცილისმწამებლური, იოტისოდენა სიმართლეს მოკლებული დასმენის ბარათი, რომელშიც ეწერა: „შინაგან ჯარში კვლავაც არიან ექსპრეზიდენტის მომხრეები. ისინი, სამხედრო გადატრიალების მიზნით, უფროსი ლეიტენანტის, ვლადიმერ ოსიშვილისა და ლეიტენანტის, გია კუხიანიძის ხელმძღვანელობით, აყალიბებენ დაჯგუფებას“. საოცრად გავბრაზდი და ასე

გაფიცხებულმა სახელმწიფო მეთაურს ვუთხარი: ამის დამწერი ან პროვოკატორია ან უცოდინარი, რადგან აქ დასახელებული ორივე პიროვნება 16 აგვისტოს, ომის დაწყებისთანავე დაიღუპა-მეთქი. ბატონ ედუარდს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაიცინა“...

... 1993 წლის 27 სექტემბერი, ამ დღეს სოხუმი დაეცემა!..

გელა ლანჩავას მემუარებში სოხუმის ბრძოლებზე არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ, გენერალი აფხაზეთის ომის წაგებად, პირდაპირ თუ ირიბად, ღალატს მიიჩნევს. მემუარებში ბატონი ლანჩავა ომის გამომწვევ მიზეზებზეც საუბრობს:

„... ერთ-ერთი ვერსიით, ომი პროვოკაციამ გამოიწვია. არძინბამ შინაგან ჯარს, ჩემი მეთაურობით, რკინიგზებისა და ავტომაგისტრალების დაცვის მიზნით, აფხაზეთში შესვლის ნებართვა მისცა. ამის შესახებ, რაღა თქმა უნდა, ყველამ, მათ შორის, ექსპრეზიდენტის მომხრეთა იმ დიდმა ნაწილმაც შეიტყო, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა და დივერსიულ აქტებს აწყობდა. მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ იქნებ, მართლაც, ისევ ჩვენმა გაბოროტებულმა სისხლმა და ხორცმა ააგიზგიზა ომის ცეცხლი? მით უმეტეს, რომ აფხაზეთის მკვიდრმა ერთმა ერთმა ქალბატონმა, რომელსაც სოფელ ოხურეისთან შევხვდით, გვითხრა: რატომ ესვრით, შვილო, ერთმანეთს, იქითაც ხომ ქართველები არიანო. იგივე გაიმეორა პირველი ბრძოლის მონაწილე რამდენიმე რიგითმა ჯარისკაცმა და ოფიცერმაც. მე კი მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რაც საკუთარი თვალით ვიხილე: ცხინვალში დისლოცირებული სოხუმის ბატალიონი, სოსო ახალაიას მეთაურობით, სოხუმში, თავისი დისლოკაციის ადგილზე ბრუნდებოდა. სოფელ ოხურეისთან, მათ აფხაზმა ექსტრემისტებმა ცეცხლი გაუხსნეს და ამან გამოიწვია ომი, ომი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო!“

მერე, წლები რომ გავა, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გია ყარყარაშვილი იტყვის: **„აღმოვჩნდით მიამიტები, ვერ გავითვალისწინეთ, რომ ომისთვის, ბრძოლის გარდა, დამახასიათებელია მზაკვრობა, სიტყვის გატეხა, ხელშეკრულების დარღვევა... სამწუხაროდ, ამას ძალიან გვიან მივხვდით“...**

მივხვდით? – ეს რიტორიკული კითხვაა. ისე, მხოლოდ აფხაზეთის ომში კი არა, მთელი ისტორიის განმავლობაში, საქართველოს ძირს, სწორედ მოღალატეები და მტერთან „მოკურკურე“ ქართველები უთხრიდნენ. სამწუხაროდ, დღესაც ასეა... არადა, დიდი კონსტანტინესი არ იყოს, სიმთვრალეში კარგი რიტორები ვართ... დიახ, ბატონებო, ჩვენში მხოლოდ ე.წ. სუფრის კი არა, პათეტიკური პატრიოტიზმიც სჭარბობს. ასე, მაგალითად, შეგვიძლია, დიდგორის „ძლევაი საკვირველი“ რამდენიმე ასეული წლის მერეც ზარ-ზეიმით აღვნიშნოთ. იმ 13-თვიან ომზე კი, რომელიც ახლახან იყო და 30 ათასი ეთნიკური ქართველი შეიწირა, ხოლო 250 000 – დევნილად აქცია, თვალი დავხუჭოთ. მეტიც, ჩვენში ისეთებიც არიან, რომლებიც ოკუპანტი რუსეთის ქება-დიდებაში აღამ-ათენებენ და პოლიქრონიონს უმღერიან!

რას ვიზამთ, ეს ჩვენი რეალობაა, რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ...

უნდა ჰქონდეს თუ არა დიდი ქონება სასულიერო პირს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რამდენიმე დღის წინ, სასულიერო პირი, მამა თეიმურაზი გაძარცვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მოპარულია რამდენიმე ათასი დოლარი და დიდძალი ოქრო. მედიასთან საუბრისას, მამა თეიმურაზმა აღნიშნა, რომ ეს ქონება მრევლმა შესწირა და ტაძრისთვის გამოყენებას გეგმავდა... „ვერსია“ ამ კონკრეტული ამბის განხილვას კი არა, იმის გარკვევას ეცდება, ქრისტიანული კანონიკის მიხედვით, აქვს თუ არა უფლება სასულიერო პირს, ქონება და სიმდიდრე დააგროვოს. აღნიშნულ საკითხზე თეოლოგ ვლადი ნარსიას ვესაუბრეთ:



– სასულიერო პირს არ უნდა ჰქონდეს დიდძალი ქონება, მისი საქმიანობა და მისია ვერაფრით იქნება დაკავშირებული ფულის ან ქონების მოპოვებასთან. რომ გამდიდრდე, ამისთვის საჭიროა, აწარმოო ისეთი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს ადამიანის ძალების მობილიზებას გარკვეული მიზნის მსახურებისთვის, რომელიც შეიძლება, მორალურიც არ იყოს.

სასულიერო პირის, როგორც ქრისტეს მღვდლისა და მსახურის ამქვეყნიური მისია ეწინააღმდეგება (როგორც სახარებაში წერია) ამა ქვეყნის სიამოვნების დაწაფებას. საქართველოს ეკლესიის მრევლის უმრავლესობა გაჭირვებულია და სასულიერი პირებს ვერ მისცემს ფულს. დანარჩენი მცირე ნაწილი, რომელიც სასულიერო პირების გამდიდრების წყარო შეიძლება იყოს, ამ ქონებას არაკანონიერად ან ამორალურად, ქრისტიანული პრინციპებისთვის შეუფერებელი ხერხებით მოიპოვებს. საეკლესიო კანონიკა კი პირდაპირ ამბობს, რომ დაუშვებელია, ეკლესიის შემწირველი იყოს ამორალური, დისკრედიტირებული, ქრისტიანული მოძღვრებისა და მსახურებისთვის მიუღებელი წესებით მცხოვრები ადამიანი.

როცა ეკლესიამ, პირველი საუკუნის შემდეგ, კატაკომბურ ეპოქაში დაიწყო გამდიდრება, მაშინ დაისვა ეს საკითხი, რადგან გამდიდრება ეკლესიისთვის კატეგორიულად შეუფერებელი და მიუღებელი იყო. ეკლესია ამქვეყნიური წესებისა და კანონების წინააღმდეგ მავალი, სრულიად განსხვავებული იდეალების მსახური უნდა იყოს. მაშინაც დადგა საკითხი – თუ რა უნდა ექნათ დაგროვებული ქონებისთვის. ადამიანი, რომელიც გადაწყვეტდა სასულიერო ცხოვრებას, მთელი ქონება უნდა შეეწირა მონასტრებისთვის და აქედან დაგროვდა ეკლესიაში ფული. ეს დიდძალი ქონება კი უფრო მეტი თავის ტკივილი გახდა ეკლესიისთვის, ვიდრე უქონლობა. მაშინ თქვეს, რომ ეკლესია აღარ დაეთანხმებოდა იმ ადამიანების შემოწირულობებს, რომლებიც არ ცხოვრობდნენ ეკლესიურად. სამწუხაროდ, ეს პრინციპი დაიკარგა შემდგომ ეპოქებში და დღეს კარგად ვიცით, ვინ არიან ეკლესიის შემწირველები. ამ ადამიანების უმრავლესობა არაკანონიერი გზით, საზოგადოების ძარცვით მოიპოვებს ქონებას, ან არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრების ამორალური წესი სრულად შეუფერებელია ეკლესიური ცხოვრებისა და მოძღვრებისთვის. ეს ადამიანები აღმოაჩენენ, რომ სჭირდებათ „გამპრავებელი“ საკუთარი ბინძური ცხოვრებისა და მიაკითხავენ ნაძირალა მღვდლებს, რომლებიც მათ დეპრესიული ფსიქიკის გამოსწორებას ცდილობენ იმით, რომ თუ ფულს შესწირავენ ეკლესიას, მათი ცხოვრება გამოსწორდება. ასეთ დღეშია ეკლესიაში სასულიერო პირების უმრავლესობა.

თეიმურაზ ბერიშვილი შევარდნაძის მმართველობის დროსაც, როგორც ჩანს, მოყვარული იყო იარაღის და ასეთი ტიპის ცხოვრებისა. მაშინაც, როცა მღვდელი იყო, მისი სახლის ჩხრეკისას, აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი, მაგრამ მაშინ ილია მეორემ დაიცვა და გაათავისუფლებინა სახელმწიფო ბრალისა და მსჯავრისგან. აი, ეს არის სისტემა, რომლის სათავეში დგას კორუმპირებული იერარქი, რომელიც რყვნის სისტემას არაერთი მიმართულებით.

გამოთქმა რომაა, თევზი თავიდან ყროლდებაო, ზედგამოჭრილია იმისთვის, რა მდგომარეობაშიც დღეს ქართული ეკლესიაა, რომელსაც თავისი არსით, არაფერი აქვს საერთო ეკლესიასთან.

– თუ კითხვები გიჩნდება და კრიტიკის საგნად აქცევ სასულიერო პირების ქონებას, მრავალათასიან მანქანებსა და ძვირფას ნივთებს, მკრეხელობად და ღვთის გმობად გითვლიან... ბატონო ვლადი, რომელ ეპოქაში გახდა რელიგიის საკითხებზე მსჯელობა ასე დოგმატური?

– იაკობ გოგებაშილის ერთ-ერთ წერილში, ერთი საინტერესო ფრაგმენტია, როდესაც რუსი ეპისკოპოსი ამბობს, ქართველი ეპისკოპოსები ხალხის მსახურები არიანო... რუსი ეუბნება მათ, თქვენ ხალხის ბატონები უნდა იყოთო. ეს მნიშვნელოვანი შტრიხია თქვენი კითხვის პასუხად... ჩვენ როდის დაგვეწყო ასეთი აზროვნება? ბევრ რამეს ვაბრალებთ საბჭოთა ეპოქას, რომელიც მართლაც რყვნიდა საზოგადოებას, მაგრამ, ალბათ, ფესვები გაცილებით ღრმად უნდა ვეძებოთ... ჩვენ გვიჭირდა კრიტიკული აზროვნება, რადგან სახარებისეული მსჯელობის სული და ცოცხალი სიტყვის ფასი, რომლის გარეშეც არ არსებობს ქრისტეს მოძღვრება, არასდროს იყო დაფასებული საქართველოს ისტორიაში. ჩვენ არ გვიყვარს მსჯელობა, კრიტიკა... დღესაც ისეა გაგებული, რომ თუ ვინმეს აკრიტიკებ, ე.ი. ეს მიმართულია კერძო პირის ან ინსტიტუციის წინააღმდეგ. რეალურად კი, ქრისტიანულად სიმართლის თქმის არსი სულ სხვა რამეს გულისხმობს, ეს ჯერარსული პრინციპის დაცვაა. ჩვენ ვისაც ვაკრიტიკებთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მათზე კარგები ვართ, არამედ, ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ დამცველები იმ მარადიული სიმართლის პრინციპისა, რომლის გარეშეც ირყვნება საზოგადოება და მათ შორის, საეკლესიო საზოგადოებაც.

ჩვენი ამოცანაა, ეს ღვთაებრივი შუქი არ ჩაქრეს საეკლესიო საზოგადოებაში, ამისთვის ვიმაღლებთ ხმას, ესაა ჩვენი მთავარი მოტივი და არა ვინმეს გაკრიტიკება. სიმართლის თქმით ვაფრთხილებთ საზოგადოებას, რა გველის, თუ ამ პრინციპებს ფეხქვეშ გავთელავთ, საზოგადოებას ელის გაცხოველება, რაც ძალიან ცუდია! ამ პროცესის გაჩერება გვინდა, როცა ვამბობთ, რომ სიმართლე უნდა დავიცვათ.

– ვფიქრობ, აღსანიშნია, რომ საქართველოში ბევრი სასულიერო პირი მოღვაწეობს, რომლებსაც სიმდიდრე არ გააჩნიათ და გულწრფელ ღვთისმსახურებას ეწევიან. ბერები, მღვდლები, რომლებიც მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ და მათი ღვაწლი დასაფასებელია...

– არ შეიძლება, არ დაგეთანხმოთ, მაგრამ მეორე მხრივ, სად არიან ეს ადამიანები მაშინ, როცა მათ თვალწინ ირყვნება ეკლესია და კარგად იციან, რომ ამის მიზეზი ეკლესიის კრიმინალური და კორუფციული მართვაა, რომლის სადავეებთან დგანან უმაღლესი იერარქები? ამაზე ხმას რატომ არ იღებენ?! მათ სად უსწავლიათ, სად წერია, რომ თუ შენს წინაშე ბოროტება მეფობს, ხმა არ ამოიღოო? იგვემებიან და იციან, რომ ამ პირობებში მათი ყოფნის მიზეზი არის იერარქია, ამაზე რატომ არ იღებენ ხმას? ეს არის ჩვენი უბედურების წყარო, რადგან ყველა, ვინც კარგად იცის, რაშიც არის პრობლემა, დუმს და ხმას არ იღებს.

სასულიერო პირი, რომლის მთავარი მოწოდებაცაა დაიცვას ქრისტეს სიმართლე, ქრისტეს ეკლესია და ყველა ამ პრობლემაზე დუმს სრულიად გაუგებარი მიზეზებით, ასე მგონია, რომ ისინი არა ქრისტიანული იდეალების მსახურები არიან, არამედ, ბორიტებას უწყობენ ხელს თავის დუმილით.

– მუდმივად აკრიტიკებთ ქართულ ეკლესიას. საინტერესოა, რა მდგომარეობაა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ქრისტიანული სამყაროს სხვა ეკლესიებში?

– კარგად აღნიშნეთ, როცა კრიტიკისა და დაეჭვების პრობლემაზე ისაუბრეთ. აღზრდილები ვართ ისე, რომ ჩვენთვის იდეალების ბლოკები ისეა გამჯდარი, გვიჭირს ავტორიტეტებს დავუსვათ კითხვები. ეს განასხვავებს ევროპულ საზოგადოებას ჩვენი საზოგადოებისგან. მათ შეუძლიათ მსჯელობა და კითხვების დასმა ნებისმიერ საკითხზე. მაღალი იერარქიების პოლიტიკის, ხედვების კრიტიკული ანალიზი შეუძლიათ. ეს არ შეგვიძლია ჩვენ.

მაკა რუხაძე

ვინ არის და რა ქონებას ფლობს მომავალი გენერალური აუდიტორი

უცნობი და ნაცნობი ფაქტები ცოტნე ყავლაშვილზე

20 სექტემბერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს, ირაკლი მექვაბიშვილს უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა ამოეწურა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, საკანონმდებლო ორგანოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ცოტნე ყავლაშვილის კანდიდატურა წარუდგინა. მიმდინარე კვირაში, საქართველოს პარლამენტი ახალ გენერალურ აუდიტორს აირჩევს.

გენერალური აუდიტორის წარდგენა

როგორც ვთქვით, პარლამენტის თავმჯდომარემ კოლეგებს გენერალური აუდიტორის პოსტზე, ქვეყნის ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ცოტნე ყავლაშვილის კანდიდატურა წარუდგინა. შალვა პაპუაშვილს იმედი აქვს, რომ საჯარო უწყებების მთავარი მაკონტროლებლის თანამდებობაზე, მის მიერ წარდგენილ კანდიდატურას ოპოზიციაც მხარს დაუჭერს.

საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, გენერალური აუდიტორის კანდიდატურის დასახელება პარლამენტის თავმჯდომარის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. სწორედ ამ უფლებამოსილების ფარგლებში, გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე ასარჩევად, შალვა პაპუაშვილმა ცოტნე ყავლაშვილის კანდიდატურა წარადგინა.

„წლების განმავლობაში, ბატონი ცოტნე ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა. ის არის მაგალითი პროფესიონალი და კეთილსინდისიერი საჯარო მოხელისა, რომელმაც 15 წლის განმავლობაში, რიგითი სპეციალისტიდან მინისტრის მოადგილეობამდე, საჯარო სამსახურის ყველა საფეხური გაიარა. მინისტრის მოადგილის რანგში, მისი ზედამხედველობის ქვეშ იყო აუდიტორული საქმიანობები და ის სიღრმისეულად იცნობს ამ სფეროს. 2013 წლიდან, ცოტნე ყავლაშვილი სახელმწიფო ხაზინის უფროსი გახლავთ. ამასთან, ბატონ ცოტნეს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ასევე, საფინანსო სტრუქტურებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს“.

შალვა პაპუაშვილის განცხადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც პარლამენტის თითოეულ წევრს, სახელმწიფო სახსრების ხარჯვის მართლზომიერებასა და ეფექტიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში ეხმარება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელიც პარლამენტსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის ჩამოყალიბდა, იგივენაირად გაგრძელდეს.

„აბსოლუტურად გაცნობიერებული მაქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც დამტკიცების შემთხვევაში დამეკისრება. ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი და წარმატებული ინსტიტუტი, კიდევ უფრო ეფექტიანი და წარმატებული იყოს“, – განაცხადა ცოტნე ყავლაშვილმა პარლამენტში, სპეციალურ ბრიფინგზე და დასძინა – **16 წელი გავატარე ამ სამინისტროში, სხვადასხვა თანამდებობაზე და საკმაოდ ემოციურია ჩემთვის ამ გუნდის დატოვების პერსპექტივა. ცალკე გამოვყოფ ხაზინას, რომლის უფროსიც, თითქმის 10 წელი გახლდით და მადლობას გადავუხდი ხაზინის თითოეულ თანამშრომელს. ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ ქვეყნის ფისკალური მდგრადობისთვის, ასევე, საბიუჯეტო სექტორში აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“.**

მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, ხუთწლიანი ვადით, გენერალურ აუდიტორს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 76-ხმიანი კვორუმით ირჩევს.

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ცოტნე ყავლაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სახაზინო სამსახურის უფროსი, ცოტნე ყავლაშვილი დაიბადა 1983 წლის 19 იანვარს, თბილისში. 2015 წლიდან დღემდე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეა. 2000-2004 წლებში, ცოტნე ყავლაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, 2004-2006 წლებში – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მოიპოვა, ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

რაც შეეხება პროფესიულ გამოცდილებას, 2013 წლიდან დღემდე, ცოტნე ყავლაშვილი სახაზინო სამსახურის უფროსი გახლდათ; მანამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის უფროსი იყო; 2008-2012 წლებში – ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2007-2008 წლებში – ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკისა და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; 2007 წელს – ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკისა და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; 2006-2007 წლებში – ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკისა და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს სპეციალისტი; 2006 წელს – ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სამმართველოს სპეციალისტი; 2005-2006 წლებში – საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურიზაციის დამხმარე პროექტის (განმახორციელებელი Booz Allen Hamilton, USAID-ის დაფინანსებით) ექსპერტის თანაშემწე გახლდათ.

ცოტნე ყავლაშვილს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ქონებრივი დეკლარაცია, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, ახლადშევსებულია – სახელმწიფო ქონებრივი დეკლარაციების საიტზე მიმდინარე წლის 31 აგვისტოსაა ატვირთული. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მეუღლის, სალომე მედოიძის წლიური შემოსავალი, რომელიც ს/ს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ დებიტორებთან ურთიერთობის მართვის სამსახურის უფროსია, 45 310 ლარია, ხოლო მისი წლიური შემოსავალი, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილის და სახაზინო სამსახურის უფროსისა – 69 948 ლარი გახლავთ.

ზუსტად ერთი წლის წინ – 2021 წლის 31 აგვისტოს შევსებული დეკლარაციიდან ირკვევა, რომ სალომე მედოიძე 100%-იანი წილის მფლობელია 57.4 კვ.მ. ფართის ბინისა, რომელიც დიდ დიღომში, მირიან მეფის ქუჩაზე მდებარეობს. ეს ბინა 2008 წელს, 34 200 აშშ დოლარად შეუძენია. ამავე მისამართზე, რამდენიმე თანამესაკუთრესთან ერთად, სალომე მედოიძე ავტოფარეხსაც ფლობს, რომელიც 2010 წელს, 6 300 აშშ დოლარად შეიძინა. ცოტნე ყავლაშვილის მეუღლე კიდევ ერთ მიწის ნაკვეთს ფლობს თბილისში, ლილოს დასახლებაში, რომელიც 2016 წელს, 60 000 ლარად შეუძენია. თავად ცოტნე ყავლაშვილი თბილისში, სოფელ დიღომში, 1 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 100%-იანი წილის მფლობელია, რომელიც 2014 წელს, 47 300 აშშ დოლარად შეუძენია.

არჩილ გამზარდია: „საქართველოში პოლიტიკა მოკვდა!“

„ედუარდ სააკაშვილმა მთელი ჩვენი პოლიტოლოგების ბოდვები ძალიან მარტივად დასვა თავის ადგილას!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„პოლიტიკა საქართველოში მოკვდა, დარჩა მხოლოდ რესურსები. პრინციპში, ყველაფერი მკვდარია – პოლიტიკური სექტორიც, სამოქალაქოც, ანალიტიკურიც, მედიაც და ა.შ. რაიმეს თქმასაც, მგონი, აღარ დარჩა აზრი“, – დაწერა ანალიტიკოსმა არჩილ გამზარდიამ სოციალურ ქსელში. რატომ „მოკვდა“ საქართველოში პოლიტიკა? – „ვერსია“ არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

– რაც NDI-ის კვლევებში ჩანს, იმდენად ცხადია, რომ კვალიფიციურ პროფესიულ დაკვირვებასაც არ საჭიროებს. ტოტალური უნდობლობაა ჩვენ გარშემო, ადამიანები უკმაყოფილონი არიან, უმრავლესობას არ მოსწონს მმართველი რეჟიმი, მაგრამ სხვაც არავინ მოსწონს. ქვეყანაში აღარ არის ნდობის მქონე სუბიექტი, ინსტიტუციაზე აღარაფერს ვამბობ და ამ უნდობლობაშია მოქცეული მედიასექტორიც, ასევე, სამოქალაქო სექტორიც, სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტებიც. პრაქტიკულად, დარჩენილია რესურსების მქონე ინსტიტუციები და ინტუიტიურად ყველა ვგრძნობთ, რომ რაღაც შეიცვალა საზოგადოებაში, ქვეყანაში, სამყაროში. ახალი პოლიტიკური ეპოქა დადგა, მაგრამ ადამიანები მაინც ტრადიციული ხერხებით ცდილობენ თვითრეალიზებას.

მეთოდები, რითაც მედია წლების განმავლობაში მუშაობდა, მოითხოვს სხვა პრინციპის მიხვედრას და წარმოებას. პოლიტიკური ჯგუფებიც ერთი და იგივე მეთოდებით მუშაობენ 2000-იანების დასაწყისიდან. ყველაფერ ამას კი ვადა გაუვიდა და ეს ინსტიტუციები „ვადაგასული პრეპარატებივითაა“, რომლებსაც ან უკურეაქცია აქვთ ან უფუნქციონი არიან. ყველაფერი ეს, ნებისმიერი ტიპის კვლევაში აისახება, რადგან ყველაფერი სანახაობრივი გახდა...

– ოპოზიცია ამ კრიტიკას არ იღებს. ნიკა მელიამ ცოტა ხნის წინ დაწერა, ვინც ოპოზიციას აბრალებს უფუნქციობას, პოლიტიკურად ბეციაო... ქვეყნის მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერისგან ამგვარი განცხადება სწორია?

– მგონია, რომ პირიქით, ნიკა ამას, წლებია, ხვდება. მელია საინტერესო ლიდერი იმიტომაა, რომ ნაციონალურ მოძრაობაში სიახლის შეტანას ცდილობს. როგორც კი ის ენმ-ის ლიდერი გახდა, პარტიაში ახალი სახეები მიიყვანა, ცდილობდა მიხეილ სააკაშვილისგან ზომიერ დისტანცირებას, ახლებური მეთოდებით სხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და სხვადასხვა სექტორთან ურთიერთობას. მელია ნაციონალური მოძრაობისთვის ერთგვარი ინოვაციური ვერსიაა.

რაც შეეხება გადაბრალებას, მე რომ მკითხოთ, უსარგებლო ტერმინია, ამ ეტაპზე. მარტივ რაღაცას ავხსნი – თანამედროვე პოლიტიკა არის სამომხმარებლო პოლიტიკა. პოლიტიკური ჯგუფები სერვისებს სთავაზობენ საზოგადოებას და ადამიანებს თუ უნდათ, შეიძენენ და თუ არ უნდათ – არა. უბრალოდ, სტანდარტული ბიზნესისგან განსხვავებით, პოლიტიკური მონოპოლიისა თუ ოლოგოპოლიის თემა უფრო აქტიურად ჩანს. მე, ამომრჩეველი, მომხმარებელი ვარ და თუ მხარი არ დაგიჭირე, ეს ჩემი ბრალი კი არ არის... ე.ი. არ ხარ საკმარისად მომხიბვლელი და არ „შევიძინე შენი პროდუქტი“. ეს ვერ გაითავისეს და პოლიტიკური ჯგუფები სულ იმას ამტკიცებენ, რომ ისინი არიან მართალნი და ჰგონიათ, რომ იაფი და მარტივი პროპაგანდის რეჟიმში, ამომრჩეველს აიძულებენ მხარდაჭერას. ასე მარტივი არაა, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ კონკრეტული მოტივაცია, რატომ უნდა შეარჩიონ თითოეული მათგანი. 2020 წელს კი მისცეს მოქალაქეებმა ხმა ძირითადად არასახელისუფლებო ძალებს, მაგრამ ამომრჩევლებმა ჩათვალეს, რომ ეს სრულიად საკმარისია და საპროტესტო აქციებზე ანუ ქუჩის პროტესტის ტრადიციულ ხერხზე უარი განაცხადეს. მხოლოდ რამდენიმე სხვა ტიპის დეკლარირების დროს გამოვიდა ხალხი მასობრივად ქუჩაში. ამით ადამიანებმა რაღაც გამოხატეს, მაგრამ პოლიტიკურ ჯგუფებს არ გაჰყვნენ.

პირიქით, ფაქტი ასეთია – პოლიტიკურმა ჯგუფებმა უნდა აუღონ ალღო სამოქალაქო დამოკიდებულებას. 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და ადამიანებს, რაც უნდა უძახო, რომ ისინი ცდებიან, მაინც არ დაუდგებიან გვერდით და არ მისცემენ ხმას. ამიტომ თუ გონიერება, პოლიტიკური პრაგმატულობა ეყოფათ პოლიტიკურ ჯგუფებს, უნდა გაუსწორონ თვალი იმ რეალობას, რომ რაც გინდა ავტორიტარული იყოს ეს ქვეყანა, მოქალაქეები იმდენს მაინც ხვდებიან, რომ უნდათ, მისცემენ ხმას, არ უნდათ – არ მისცემენ. ამომრჩეველზე ისრების გადატანა არაპრაქტიკულია. შეიძლება, პოლიტიკური ჯგუფი უფრო „სწორი“ იყოს, მაგრამ ეს თუ ვერ აპოვნინა მოქალაქეს და ვერ დააჯერა, აზრი არ აქვს.

– არჩილ, თქვენ კი ამბობთ, რომ პოლიტიკა საქართველოში მოკვდა, მაგრამ ერთი მხრივ, პარლამენტში აქტიური საკანონმდებლო მუშაობა მიმდინარეობს... ოპიზიციის ნაწილი კოალიციურ ჩანასახს ქმნის... ნაციონალური მოძრაობა ვადამდელ არჩევნებს ითხოვს და აქციებს აანონსებს. ყველაფერი ეს, ფასადური პროცესი გგონიათ? აქვე გკითხავთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ვადამდელი არჩევნების ასეთი რუტინული მოთხოვნა უკვე საღ აზრს მოკლებულია?

– ამ მოძრაობებს იმიტაციებს დავარქმევდი. კი, არის მცდელობები, მაგრამ ამ პროცესებში, ხშირად მახსენდება ზღვის გოჭი, რომელიც პატარა ბორბალში დარბის. მუდმივად მოძრაობს, მაგრამ ვერ გადაადგილდება ანუ ძალისხმევის ეპიზოდებს რომ ვხედავთ, არ ნიშნავს, რომ ეს რამე დინამიკას ქმნის, მინიმუმ, ადამიანების ნდობის მოპოვების კუთხით. ვეჭვობ, ახლანდელმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა საოცრება მოახდინონ ამომრჩევლის გულებში. ამიტომ, ეს უფრო იმიტირებული რეალობის განცდას მიჩენს. შედეგია მთავარი – რა იცვლება სახელმწიფოში, ამომრჩევლის ცნობიერებაში, ქვეყნის, პოლიტიკის განვითარებაში – არსებითი არაფერი.

რაც შეეხება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას, ვერ ვიგებ, რაზეა დაფუძნებული, ამ ეტაპზე. 2024 წლისთვის, წინასაარჩევნოდ, „ქართული ოცნება“ ასრულებს საკმაოდ ბევრ საკვანძო პროექტს და თუ პოლიტიკური ძალები აცნობიერებენ, რომ მმართველი ძალა მოცემულობას 2024 წლისთვის ისე წარმოაჩენს, რომ კიდევ უფრო სავალალო შეიძლება გახდეს ოპოზიციის პერსპექტივა, მაშინ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას თეორიული ბაზისი აქვს იმ ლოგიკით, რომ ხვალ შეიძლება, ნდობა უფრო შემცირდეს და მოვლენებს გავუსწროთ.

თუ ვადამდელი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, 5%-იანი ბარიერი დარჩება, ამ შემთხვევაშიც ნაციონალური მოძრაობის მოწადინება სრულიად გასაგები ხდება, რადგან ამ მოცემულობით, პარლამენტში შევლენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, პატარა პარტიები ვერ შევლენ. „ქართული ოცნება“ დარჩება ხელისუფლებაში, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა იქნება ერთი ოპოზიციური ძალა და ისე გამოვა, რომ მას მომავალში უფრო მეტი თეორიული პერსპექტივა ექნება, ვიდრე სხვა პარტიებს. ასე რომ, ვფიქრობ, ნიკა მელიას ამ მოთხოვნაში კონკრეტული მოტივები აქვს.

– მელიას რომ მოტივები აქვს, გასაგებია, მაგრამ საუბარია იმაზე, რამდენად რეალურად მისაღწევია ახლა ვადამდელი არჩევნები.

– ახლა შესაძლებელი არაა, მაგრამ შეიძლება, ამით პოლიტიკური კომუნიკაციების შესაძლებლობას, ან სხვა პარტიების ნაციონალურ მოძრაობასთან ინტეგრირების მეტ პირობას ქმნის. ისე, ახლა რეალისტური არაფერია. რეალისტური არის მხოლოდ ის, რომ ხელისუფლება რასაც გადაწყვეტს, ისე გააკეთებს და არაფერი მას არ შეეწინააღმდეგება. არაფერზე მგრძნობიარე არ არიან და ამიტომ, ახლა ძალისხმევის პერსპექტივა გათვალო იმ იმედით, რომ რამე ტიპის ზეწოლაა შესაძლებელი ხელისუფლებაზე, ამის პირობა არ დგას.

– ამოაყირავებს თუ არა არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური განცხადება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ?

– არაფერს შეცვლის, რადგან ყველაფერი ეს უკვე განხორციელებულია. ყველაზე უკეთესი ანალიზი, რაც მინახავს მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, მოვისმინე მისი ვაჟისგან. ედუარდ სააკაშვილმა მთელი ჩვენი, პოლიტოლოგების ბოდვები ძალიან მარტივად დასვა თავის ადგილას. მან შეაფასა სწორედ ის, რომ მიხეილ სააკაშვილის როლი უკვე სხვა არის და სააკაშვილს ჰქონდა წარმოსახვითი განცდები და არა – რეალური... რომ მას პერსპექტივა ქართულ პოლიტიკაში არ აქვს. ეს ყველაფერი შეაფასა მისივე ვაჟმა, თავისმა ყველაზე დიდმა გულშემატკივარმა. მით უმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილის პოზიციები ცვლიდა ხოლმე მხოლოდ თავის პარტიაში რაღაცას მცირედით და „ოცნების“ პროპაგანდას აძლევდა მეტ რესურსს. თუმცა, დააკვირდით – „ქართული ოცნება“ მიხეილ სააკაშვილზე ფოკუსირებულ პროპაგანდას ნაკლებად ეწევა, პარტიასთან მიმართებაში საუბრობენ და ყველა სხვა პარტიის აფილაციას ცდილობენ მასთან. ამიტომ, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი არის მხოლოდ ის, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მას ადამიანურად გულშემატკივრობენ, მაგრამ ეს ვიწრო სივრცეშია და არსებითი გარდატეხა აღარ ექნება.

ზოგადად, ადამიანებს, წლების განმავლობაში, ერთსა და იმავეზე აქცენტირება მობეზრდათ. ამიტომ, რა განცხადებაც უნდა გააკეთოს, იმის შესაძლებლობა აღარ აქვს, რომ განსაკუთრებული ფუნქცია შეასრულოს პოლიტიკურ პროცესში.

საქართველოს ძირითადი იმპორტიორი და ექსპორტიორი ტოპ-სამი ქვეყანა

მაკა რუხაძე

ორნიშნა ეკონომიკური ზრდის დეტალური ანალიზი „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით

„პანდემიის შემდგომ, გასულ წელს, ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა – 10.4%-ით და წელსაც, ეს წელი ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით დავიწყეთ. პირველ შვიდ თვეში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა – 10.3% გვაქვს. გარდა ამისა, ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64.8 მილიარდი ლარი. პროგნოზირებული იყო საქონლის ექსპორტის ზრდა, დაახლოებით, 13%-ით, ხოლო ტურიზმის აღდგენა, 2019 წელთან შედარებით, 70%-ის ფარგლებში. ამ პერიოდში, ჩვენ გვაქვს შემდეგი პარამეტრები: საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი 3.1 მილიარდი აშშ დოლარია, რაც 36%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს; ასევე მინდა ვთქვა, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 1.6 მილიარდ აშშ დოლარს, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე სამჯერ მეტია. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციების მოცულობამ წლის პირველ კვარტალში 922 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება, ხოლო 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს 62%-ით აჭარბებს. ეს ნიშნავს, რომ წელს, პირველ შვიდ თვეში, კვლავ ორნიშნა – 10.3%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც დეტალურად გთავაზობთ, ირკვევა, რომ 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, გაიზარდა, როგორც იმპორტი, ასევე, ექსპორტი.

ამ პერიოდში, საქართველოს ძირითადი იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნებია თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი. მეტიც, სწორედ მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში, ქვეყნიდან ელექტროენერგიის ექსპორტიც გაიზარდა.

იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლები

„საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოში, საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11 936 4000 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 36.6%-ით მეტია. უწყების ინფორმაციით, აქედან ექსპორტი 3 571 400 აშშ დოლარია ანუ 36.9%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი – 8 364 900 აშშ დოლარი ანუ 36.5%-ით მეტი. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, 4 793 500 აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.2%-ია.

„2022 წლის იანვარ-აგვისტოში, ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 79.3%-ია. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი – 502 600 000 აშშ დოლარი; აზერბაიჯანი – 421 500 000 აშშ დოლარი და რუსეთი – 409 300 000 აშშ დოლარი. 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში 66.7% პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი – 1 467 300 აშშ დოლარი; რუსეთი – 1 068 500 აშშ დოლარი და ჩინეთი – 724 000 000 აშშ დოლარი“, – ვკითხულობთ „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ მონაცემებში.

უწყებისვე ცნობით. 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.7%-ზე დაფიქსირდა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი – 1 788 800 აშშ დოლარი; რუსეთი – 1 477 800 აშშ დოლარი და ჩინეთი – 1 226 600 აშშ დოლარი. 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა – 683 800 000 აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.1%-ია; მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები – 490 900 000 აშშ დოლარით, რაც მთლიანი ექსპორტის 13.7%-ია, ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები – 371 600 000 აშშ დოლარით ანუ მთლიანი ექსპორტის 10.4%.

„უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 940 400 000 აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 11.2% შეადგინა; მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები – 872 700 000 აშშ დოლარით ანუ იმპორტის 10.4% და მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 531 400 000 აშშ დოლარით ანუ იმპორტის 6.4%“.

ექსპორტი – რეექსპორტის გარეშე

„საქსტატის“ მონაცემების მიხედვით, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობა, არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე, 3 571 400 აშშ დოლარი იყო, რაც 36.9%-ით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. უწყების ცნობით, ადგილობრივი ექსპორტი ანუ ექსპორტი – რეექსპორტის გარეშე, მთლიანი ექსპორტის 69.6%-ია. ეს მაჩვენებელი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 31.2%-ით გაიზარდა და 2 487 100 აშშ დოლარს გაუთანაბრდა.

გარდა ამისა, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, ათი უმსხვილესი ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 81.3% იყო. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: ჩინეთი – 472 200 000 აშშ დოლარით; რუსეთი – 350 600 000 აშშ დოლარითა და თურქეთი – 295 600 000 აშშ დოლარით.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, ადგილობრივი ექსპორტის ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 683 800 000 აშშ დოლარით. ამ სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 27.5%-ია; მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები – 365 100 000 აშშ დოლარით, რაც მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 14.7%-ია და მესამე ადგილს იკავებს აზოტოვანი სასუქები – 192 700 000 აშშ დოლარით, რაც მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 7.7%-ია.

ელექტროენერგიის ექსპორტი გაიზარდა

„საქსტატის“ ინფორმაციით, საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტი რეკორდულად გაიზარდა. უწყების წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, ქვეყანამ 73 900 000 აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია გაყიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 398.5%-ით მეტია. შარშან, პირველ შვიდ თვეში, დენის ექსპორტიდან შემოსავალმა 14 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, 2022 წელს, უკვე მეორე თვეა ელექტროენერგია ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის ათეულში ხვდება, ხოლო იანვარ-აგვისტოში, მთლიან ადგილობრივ ექსპორტში, დენის წილი 3% იყო.

რაც შეეხება საექსპორტო ქვეყნებს, „საქსტატის“ ცნობით, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველომ ყველაზე დიდი მოცულობის ელექტროენერგია თურქეთში გაყიდა – 69 303 000 აშშ დოლარი; მეორე ადგილზეა სომხეთი – 3 980 000 აშშ დოლარი; მესამეზეა აზერბაიჯანი – 569 700 000 აშშ დოლარი. რაც შეეხება რუსეთს, იქ წელს, 97 000 აშშ დოლარის დენი გავყიდეთ.

რაც მთავარია, „საქსტატისვე“ ინფორმაციით, მიმდინარე წელს, საქართველომ მხოლოდ 34 745 000 აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია იყიდა და ისიც, ძირითადად, ზამთრისა და ადრეული გაზაფხულის პერიოდში.

სამართალი

№37 21 სექტემბერი 2022 წ

როგორ დაგეგმა სიდედრ-სიმამრმა ყოფილი სიძის მკვლელობა

ვინ იპოვა მძიმედ დაშავებული მამაკაცი მიტოვებულ შენობასთან და რა ჩვენება მისცა გამოძიებას არასრულწლოვანმა გოგონამ

ბათო ჯაფარიძე

პარკური არის ქუჩის ხელოვნება, რომელიც ადამიანს სწრაფად გადაადგილებაში ეხმარება. პიროვნებას უხდება დაბრკოლებების გადალახვა, რაც დიდ ადრენალინს ანიჭებს. პარკურები თავს ტრეისერებს უწოდებენ. ტრეისერი ინგლისური სიტყვაა და ეწოდება ისეთ ადამიანს, რომელიც ცდილობს, ებრძოლოს ქალაქის „ჯუნგლებს“. საქართველოში რამდენიმე ჯგუფი არსებობს, რომლებშიც ტრეისერები არიან გაერთიანებულნი და კარგადაც ერთობიან. ზოგადად, ერთი შეხედვით, სახიფათო ილეთები, ვარჯიშის შემთხვევაში, სახიფათო სულაც არაა და მთავარია, ტრეისერმა უაზროდ არ გარისკოს.

თბილისში, ერთ-ერთი მიტოვებული შენობის ეზოში, გოგონამ, რომელიც სავარჯიშოდ იყო გამოსული, ახალგაზრდა მამაკაცი იპოვა. ის სუნთქავდა, მაგრამ ისე იყო დალეწილი, ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმაც კი თავი გადააქნიეს, ვერ გადარჩებაო. ამის მიუხედავად, საავადმყოფოში მალე გადაიყვანეს და გეტყვით, რომ სამი დღის შემდეგ, ექიმებმა დაბეჯითებით თქეს – გადარჩება, თუმცა მთელი ცხოვრება შშმ პირად დარჩება და ეტლიდან წამოდგომას ვერასდროს შეძლებსო. მანამდე კი...

„დილით, ჩვეულებრივად, სავარჯიშოდ გამოვედი, თან მეგობარს შევუთანხმდი, ერთად ვვარჯიშობთ ხოლმე. სახლთან დამხვდა და სირბილი დავიწყეთ. მოულოდნელად, მუცელში დისკომფორტი ვიგრძენი. ამ მშენებლობის ეზოს გავლით, სახლისკენ გზა უფრო მოკლეა და გადმოვუხვიე. ეს ბიჭი ერთდროულად დავინახეთ, მერე სასწრაფოშიც დავრეკეთ და დანარჩენი იცით“, – თქვა გოგონამ და ბიჭიც, რომელიც მასთან ერთად ვარჯიშობდა, თავს უკრავდა. საინტერესო ის გახლდათ, რომ დაშავებულს ორივე იცნობდა, ის პარკურის არათუ მიმდევარი, არამედ, ერთ-ერთი ჯგუფის დამფუძნებელი იყო და საზღვარგარეთ შეჯიბრზეც აპირებდა წასვლას.

დაშავებულს 6 წლის გოგონა ჰყავდა, მეუღლე კი... ორი წლის წინ, ერთ-ერთი საშიში ილეთის შესრულების დროს, ცუდად დაეცა, თავი დაარტყა და დაიღუპა. ბიჭს გოგონას გაზრდაში სიდედრ-სიმამრი ეხმარებოდა, თავად მშობლები სოფლად ჰყავდა და ამიტომ, ბავშვს მათ ვერ უტოვებდა. ადგილი, სადაც დაზარალებული იპოვეს, სპორტსმენებისთვის სასურველი და მიმზიდველი იყო, ისინი სწორედ იქ ვარჯიშობდნენ და რაც მთავარია, ნახევრად დანგრეული შენობის ნაწილებს ილეთების შესასრულებლად იყენებდნენ.

გამომძიებლებს ორი რამ არ მოეწონათ: პირველი ის, რომ დაშავებულს ჯინსები ეცვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იქ სავარჯიშოდ არ იყო, მეორე ის, რომ გოგონა და ბიჭი, რომლებმაც დაზარალებული იპოვეს, უცნაურად გამოიყურებოდნენ. უფრო ზუსტად კი ბიჭი, რადგან მათ, დაახლოებით, ათი წუთი ირბინეს, გოგოს ოფლი არ ჰქონდა გამოსული, ბიჭის მაისური კი გასაწური იყო. როცა ამის შესახებ ჰკითხეს, მშვიდად უპასუხა, ჭარბოფლიანობა მაქვსო, მაგრამ გამომძიებლებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, იგივე მანძილი არბენინეს და ბიჭს წვეთი ოფლი არ გამოსვლია. ცხადი იყო, სანამ ადგილამდე მივიდოდა, ბიჭი სხვაგან იყო ნარბენი, მაგრამ სად?

საავადმყოფოში ყოფნის მიუხედავად, დაშავებულს ექსპერტიზა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ გადმოვარდნის შედეგად მიღებული ტრავმების გარდა, თავის არეში ჰქონდა მიყენებული ჭრილობა, რომელიც სავარაუდოდ, რკინის ბლაგვი საგნით მიაყენეს. სამართალდამცავებმა მიმდებარე ტერიტორია კიდევ ერთხელ გაჩხრიკეს და შემთხვევის ადგილიდან, დაახლოებით, 150 მეტრში, სისხლიანი რკინის ნაჭერი იპოვეს, ოღონდ მას ხელჯოხის ფორმა ჰქონდა მიცემული. ადგილობრივებმა თქვეს, ამ ხელჯოხით გვერდით კორპუსში მცხოვრები მოხუცი დადისო და ძალოვნებმა ახლა მას მიაკითხეს. მოხუცმა საკუთარი ჯოხი მაშინვე იცნო, მაგრამ ისიც თქვა, როცა დანგრეული შენობის ტერიტორიაზე შევდიოდი, მხოლოდ მაშინ ვიყენებდი, უკან წამოსვლის დროს კი იქვე, ერთ-ერთ კუთხეში ვაყუდებდი და ვტოვებდიო. რკინის ჯოხზე მხოლოდ მოხუცის ანაბეჭდები იყო, თუმცა ექსპერტიზამ ისიც თქვა, დარტყმა ისეთი სიძლიერით არის განხორციელებული, მოხუცი ვერაფრით მოახერხებდაო ანუ ვიღაცამ იცოდა, სად იყო შენახული რკინის ხელჯოხი და გამოიყენა, თანაც ისე, რომ ზედ საკუთარი ანაბეჭდი არ დატოვა.

სამართალდამცავებმა სიდედრ-სიმამრიც დაკითხეს. ისინი სიძით ძალიან უკმაყოფილოები იყვნენ, ჩვენი შვილი აიყოლია, პრაქტიკულად, მოგვიკლა და ახლა, 6 წლის გოგონას იგივეს უპირებს, სახიფათო ილეთებს ასწავლისო. ბავშვი გამუდმებით ჰყვებოდა, როგორ მიიბა მამამ ტანზე და შეასრულა სახიფათო ნახტომი, როგორ შესვა მარტო ბავშვი ცხენზე და როგორ იჯირითა ცხენმა მთებში. ყველაფერი ეს, ბებიასა და ბაბუას ძალიან აბრაზებდა, მაგრამ სიძეს არაფერს ეუბნებოდნენ, რადგან იცოდნენ, ის საკუთარ საქმეზე ძალიან იყო შეყვარებული და მით უმეტეს, ახლა, როცა საზღვარგარეთ წასვლისა და იქ ტურნირებში მონაწილეობის პერსპექტივა გაჩნდა, სხვა რამეზე საერთოდ ვეღარ ფიქრობდა.

იმის გამო, რომ დაშავებულს ბევრი ჭრილობა და მოტეხილობა ჰქონდა, ექსპერტები რთულად მუშაობდნენ. როგორც იქნა, ზურგიც შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ დაზარალებულს ელექტროშოკის კვალი ჰქონდა ანუ ძალიან დიდი ალბათობით, ელექტროშიკით გათიშეს, შემდეგ იმ ადგილზე მიიყვანეს და შენობიდან გადმოაგდეს, რადგან შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი ვარჯიშის დროს მოხდა, მაგრამ ჯინსით ვარჯიში? ასევე, დიდი ალბათობით, გადმოვარდნის შემდეგ, ბიჭი არ მოკვდა და მას სწორედ ის ხელჯოხი ჩაარტყეს, რომელიც შემდეგ იპოვეს, მაგრამ ფაქტია, ამასაც გადაურჩა. ამ დროს კი სამართალდამცავები არათუ კითხავდნენ, ცეცხლში ატარებდნენ მის მეგობარს, რომელიც თავიდან კი ამტკიცებდა, არსად მირბენიაო, მაგრამ შემდეგ გამოტყდა:

„საზღვარგარეთ ტურნირზე ერთ-ერთი უნდა წავსულიყავით. შიდა შეჯიბრი ჩავატარეთ და მაჯობა. რამე რომ დაშავებოდა, მე წავიდოდი, მაგრამ თავს ძალიან უფრთხილდებოდა. იმ დღეს, სანამ მეგობარი დამირეკავდა, სავარჯიშოდ ადრე გავედი, მეტი მინდოდა მერბინა, გოგოს არ შეუძლია ამდენი. ვირბინე და როცა დამირეკა, მისი სახლისკენ მოკლე გზით, დანგრეულ შენობაზე გავიარე და დავინახე, როგორ ეგდო მიწაზე ჩემი მთავარი კონკურენტი. თავიდან მკვდარი მეგონა და ჰო, გამიხარდა, ეგოისტურად გამიხარდა, მაგრამ მერე გაინძრა. ვიცოდი, მოხუცი რკინის ჯოხს სად ინახავდა, მოვიტანე და თავში ჩავარტყი. მერე რკინა მოვისროლე და მეგობარს შევხვდი, შემდეგ, ბედის ირონიით, მას მუცელი ასტკივდა და ისევ ამ გზაზე დავბრუნდით, დანარჩენი კი იცით“...

მეგობარი დააკავეს და ბრალად სხეულის განზრახ დაზიანება წაუყენეს, თუმცა დაზარალებულს მხოლოდ ეს ჭრილობა რომ ჰქონოდა, ეტლს არ მიეჯაჭვებოდა ანუ ხერხემალი სიმაღლიდან გადმოვარდნისას დაუზიანდა.

გამომძიებლებმა მისი გარემოცვის დაკითხვა განაგრძეს და ისიც იკითხეს, რატომ არ უშლიდით, როცა შვილს საშიშ ილეთებს აკეთებინებდა და სხეულზე თოკით იბამდაო. გაოცებისგან ყველამ პირი დააღო, მეგობრები ერთხმად ამბობდნენ, რომ დაშავებული გოგონას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და ილეთებში მონაწილეობას კი არა, ყურებასაც არ ანებებდა. ის შვილთან ერთად არასოდეს ვარჯიშობდა, თუ სხვა ვარჯიშობდა, არ აყურებინებდა. რაც შეეხება ცხენს, ვერავინ გაიხსენა, ოდესმე, ცხენი ეხსენებინა დაზარალებულს და საერთოდაც, როცა შვილთან ერთად დროს ატარებდა, ან პარკში სეირნობდა, ან ატრაქციონებზე დადიოდა, მაგრამ არასდროს საშიშზე. ძალოვნებს ეს უცნაურად ეჩვენათ, ბავშვის ბებია-ბაბუას მიაკითხეს და ძალიან ფრთხილად, გოგონას კითხვები დაუსვეს. ბავშვმა მალე აღიარა, რომ რეალობას კი არა, საკუთარ ოცნებებს ჰყვებოდა. ამის გაგონებაზე, ბებია-ბაბუამ ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

„იმ ღამით, როცა ჩვენი ლიდერი დაშავდა, დაახლოებით, ღამის პირველამდე, ერთად ვიყავით. შემდეგ სახლში წავიდა, ბავშვი სიდედრ-სიმამრთან ჰყავდა დატოვებული, მის სადარბაზომდე ერთად მივედით, მე ახლოს ვცხოვრობ. დავემშვიდობე და შინისკენ წავედი, ცოტა მანქანა მოძრაობდა და როცა ერთ-ერთი წამომეწია, უნებურად შევხედე. მომეჩვენა, რომ წინა სავარძელზე, სწორედ დაზარალებული იჯდა, უკანა სავარძლისკენ იყურებოდა და ვიღაცას ესაუბრებოდა. ღამე იყო და დაზუსტებით ვერ გავარჩიე, მაგრამ ის კი ზუსტად მახსოვს, რომ ავტომობილი თეთრი ფერის „მერსედესი“ იყო და მარჯვენა ფრთა „გაშპაკლული“ ჰქონდა“, – ეს განცხადება განყოფილებაში საკუთარი ნებით მისულმა ერთ-ერთმა დამწყებმა ტრეისერმა თქვა.

თეთრი ფერის „მერსედესი“, დაზიანებული მარჯვენა ფრთით... დაშავებულის სიმამრს ჰყავდა. მათი ბინის ჩხრეკა ჩატარდა და მართალია, სახლში ვერაფერი იპოვეს, მაგრამ ავტოფარეხში ელექტროშოკერს მიაგნეს.

„დღემდე იმ აზრზე ვართ, რომ ჩვენი შვილი, სწორედ სიძის ახირებების გამო დაიღუპა. შვილიშვილსაც ვეღარ დავთმობდით, ის ყოველ საღამოს, როცა მამამისთან ატარებდა დღეს, ისეთ ამბებს გვიყვებოდა, თავი საშნელებათა ფილმში გვეგონა. ახლა ეს საზღვარგარეთ წასვლა გამოტყვრა, ბავშვის წაყვანაც სურდა და დავრწმუნდით, რომ შვილიშვილი შეიძლება ვეღარასოდეს გვენახა და ეს იმიტომ, რომ შესაძლოა, ბავშვი მამის კვალზე წასულიყო. ამიტომ, დავგეგმეთ, რომ ის თავიდან უნდა მოგვეშორებინა, სახლთან დაველოდე, ელექტროშოკერით გავთიშე, ვიცოდი, სადაც ვარჯიშობდა ხოლმე, იქ მივიყვანე და გადმოვაგდე. მეგონა, მოკვდებოდა, ახლა კი ძალიან მეცოდება“, – განაცხადა სიმამრმა.

სასამართლომ დაკავებული მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლა და 8 წელი მიუსაჯა.

დედის მკვლელის სკანდალური აღსარება

სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელი ტყეში გაგუდული იპოვეს

ბათო ჯაფარიძე

საზღვარგარეთ სუროგაცია არცთუ მცირე ისტორიას ითვლის. მართალია, საქართველოში სუროგატი დედების რიცხვი მცირე ნამდვილად არ არის, თუმცა ხმამაღლა ამ თემაზე საუბარს ნებისმიერი ერიდება.. თითქოს, ყველაფერი ეს ქართულ მორალსა და მენტალიტეტში არ ჯდება, რადგან არ შეიძლება, დედამ, რომელიც იმშობიარებს, შვილი სხვას მისცეს და ეს იმის მიუხედავად, რომ სინამდვილეში, ის ინკუბატორის ფუნქციას ასრულებს – კვერცხუჯრედი მისი არ არის. სუროგაციის გამო, განსაკუთრებით ბოლო წლებში, საქართველოშიც არაერთი სკანდალი ატყდა, ზოგჯერ საფუძვლიანი, ზოგჯერ – უსაფუძვლო, მაგრამ დღემდე ეს პრობლემა არსებობს და კიდევ კარგა ხანს იარსებებს. სუროგაციის ცენტრი საქართველოში დღესაც მოქმედებს, მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინ, ყველაფერი უცხო და ცოტა არ იყოს, უცნაურიც იყო.

„არსებობდა სუროგაციის ცენტრი, რომელსაც რეალურად არავინ აკითხავდა, მაგრამ არსებობდა და მორჩა. სამაგიეროდ, ვინც იქ მიდიოდა, მომსახურება 20 ათასი დოლარიდან იწყებოდა ანუ სურვილის მიუხედავად, იქ რიგითი ადამიანი ვერ მოხვდებოდა. ჰოდა, სწორედ ამ სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელი იპოვეს კოჯრის ტყეში გაგუდული და საქმეს განსაკუთრებულის სტატუსი იმიტომ მიეცა, რომ საქმე სუროგაციის ცენტრთან გვქონდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საინტერესო ექსპერტიზის დასკვნა გახლდათ – გარდაცვლილს ყელში ცხვირსახოცი ჰქონდა გაჭედილი და სწორედ იმით გაიგუდა, ხელები კი – შეკრული და ექსპერტი ამტკიცებდა, ქალმა ხელები ნებით შეაკვრევინა, ძალადობის კვალი არ ეტყობოდა ანუ თანახმა იყო, მისთვის ხელები შეეკრათო. ეს სამართალდამცავებს ბევრ საფიქრალს უმატებდა, თუმცა როცა კლინიკაში მივიდნენ, მიხვდნენ, რომ მკვლელს მალე იპოვიდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ვერ ნახეს ვერცერთი თანამშრომელი და კლინიკის კლიენტი, რომელიც ხელმძღვანელით კმაყოფილი იყო. მეტიც, ერთ-ერთმა ექთანმა ისიც თქვა, ერთი კვირის წინ, გარდაცვლილმა კლინიკიდან წამყვანი ექიმები გაუშვა – ცოლ-ქმარი და ისინი დაემუქრნენ, ცუდად დაამთავრებო. სამართალდამცავები მათთან წავიდნენ.

„სუროგაცია ჩვენში ახალი დანერგილია და ბევრი არ ენდობა, ამიტომ თითოეულ კლიენტს ვუფრთხილდებით. ახლაც გვყავდა ერთი სუროგატი, რომელსაც საკმაოდ გავლენიანი ოჯახი აფინანსებდა. ჰოდა, ეს ქალი გამოკვლევაზე რომ მოვიდა, ყველაფერი რიგზე იყო, კლინიკის შეფმა კი გვითხრა, გინდათ თუ არა, დამატებითი კვლევები დაუნიშნეთ, ძვირადღირებული, უნდა გავწეწოთ, გვიჭირსო. ჩვენ უარი ვთქვით, რადგან დამატებით კვლევებს, შეიძლებოდა, სრულიად ჯანმრთელი ნაყოფისთვის ევნო და ამის მერე გამოგვაგდო. სწორედ ამიტომ ვუთხარით, ცუდად დაამთავრებო, თორემ მისი მოვკლა არც გვიფიქრია“, – თქვეს ექიმებმა და რაც მთავარია, მკვლელობის მომენტისთვის, ორივეს ალიბი ჰქონდა – ისინი ქალაქიდან იყვნენ გასულნი დასავლეთ საქართველოში და მოწმედ ოცამდე ადამიანი ჰყავდათ.

საავადმყოფოში გამომძიებლებს ისიც უთხრეს, კლინიკის დირექტორი ოფიციალურად მარტოხელა გახლდათ, მაგრამ ახალგაზრდა ბიჭებს ეტანებოდა და კლინიკიდან ხან ვის მიჰყავდა, ხან – ვისო. რამდენიმე ასეთი ბიჭი იპოვეს კიდეც, თუმცა მათ ხელი აიქნიეს, თავად გვეცნობოდა, გვეპატიჟებოდა, ერთკვირიანი ურთიერთობის შემდეგ კი, უბრალოდ, გვიშორებდაო. ისიც გაირკვა, რომ კლინიკის დირექტორი ერთ-ერთ დახურულ კლუბს სტუმრობდა, სადაც... ბიჭები სტრიპტიზს ცეკვავდნენ და მაშინ ესეც ახალი და უცხო იყო. ძალოვნებმა კლუბს მიაკითხეს და ის ბიჭიც იპოვეს, რომელსაც მოკლულთან ბოლოს ჰქონდა ურთიერთობა და დასაკითხად წაიყვანეს.

„კი, ურთიერთობა მქონდა და არა მარტო მასთან. ჩვენთან ხშირად დადიან ასაკოვანი ქალები და ერთი ღამის, ან თუნდაც ერთკვირიანი ურთიერთობის სანაცვლოდ, იხდიან. ასე ვცხოვრობთ, ასე ვირჩენთ თავს. იმ ქალთან ურთერთობა მქონდა, თანაც რამდენჯერმე, მაგრამ რამდენიმე დღის წინ დამემშვიდობა, ახალი ვიპოვეო. ისე, უცნაური ქალი იყო, ალბათ, ფილმებს უყურებდა და ხან ხელების შეკვრას ითხოვდა, ხან ცოტა უხეშ მოპყრობას, უცნაურ ადგილებში უყვარდა სექსი. მაგალითად, სადმე, კორპუსის უკან, სადაც რისკი იყო, რომ ვინმეს დავენახეთ, ან ღამით, ტყეში, სადაც ტურების ჩხავილი გვესმოდა. კარგია, რომ დავშორდი“, – ასეთი ჩვენება მისცა ბიჭმა.

ძალოვნები მიხვდნენ, რომ თუ ქალის ბოლო „სიყვარულს“ იპოვიდნენ, მკვლელობაც გაიხსნებოდა. ისინი მიხვდნენ, რომ ტყეში მკვლელმა ქალი სწორედ სასიყვარულო ურთიერთობისთვის გაიტყუა, ხელებიც ამიტომ შეუკრა და ქალმაც წინააღმდეგობა ამიტომ არ გაუწია, მაგრამ ვინ იყო მკვლელი და თუ გამორჩენის მიზნით მოკლა ქალი, რატომ არ წაიღო, თუნდაც ბრილიანტის საყურეები? კითხვები ბევრი იყო, პასუხები – ცოტა.

შესაძლოა, გამომძიებლებმა არ აღიარონ, მაგრამ არცთუ იშვიათად, საქმე შემთხვევით იხსნება. ჰო, შემთხვევით, ვიღაცას რაღაც წამოსცდება, ჰგონია, რომ უმნიშვნელო დეტალია და იმ უმნიშვნელოთი გამომძიებლები მნიშვნელოვანზე გადიან. ასე იყო ამჯერადაც – გარდაცვლილის სამეზობლოს მორიგი დაკითხვის დროს, ერთ-ერთ პენსიონერს წამოსცდა, მაგას ბოლოს ჩვენი მარინას ბიჭი აკითხავდაო.

„როგორც გავარკვიეთ, „ჩვენი მარინა“ გარდაცვლილთან დამხმარედ მუშაობდა სახლში, სანამ ქმარი ჰყავდა ქალს. წყვილს შვილი არ გაუჩნდა და როგორც მეზობლები ამბობდნენ, ამის ნიადაგზე დაშორდნენ კიდეც, ამიტომ ქალმა მარინა დაითხოვა. მაშინ მარინა ორსულად იყო, მართალია, შორს არ გადასულა, მაგრამ გარდაცვლილთან ურთიერთობა გაწყვიტა. უბანში მის შვილს იცნობდნენ და დაადასტურეს, რომ ბოლო დღეებში, სწორედ ის ახალგაზრდა ბიჭი იყო მისი მუდმივი სტუმარი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძალოვნებს მარინას მოძებნა არ გასჭირვებიათ და როცა ბინაზე მიაკითხეს, მისგან საოცარი და რაც მთავარია, გულწრფელი ისტორია მოისმინეს.

„მე გათხოვებიდან ერთ თვეში დავქვრივდი, ქმარი ავარიაში დამეღუპა. ცუდ დღეში ვიყავი და მაშინ გავიგე, რომ ექიმი ოჯახში დამხმარეს ეძებდა. მაშინვე წავედი, მუშაობა დავიწყე და მიხაროდა, რომ სახლში მხოლოდ დასაძინებლად შევდიოდი. სწორედ მაშინ გავიგე პირველად სუროგაციის შესახებ, ცოლიცა და ქმარიც ამ მიმართულებას აქტიურად სწავლობდნენ, კონტაქტებს ამყარებდნენ ევროპელ კოლეგებთან. მათ შვილი არ უჩნდებოდათ და შემომთავაზეს, სუროგატი დედა იყავი, შვილი ჩვენი იქნება, მაგრამ შენ გაზრდი, მერე, ეგებ, გათხოვდე კიდეცო. ფულიც შემომთავაზეს და ისე ვიყავი, ბევრი არ მიფიქრია, დავთანხმდი. ყველაფერი ეს არალეგალური იყო, მაგრამ არ მაინტერესებდა. ცოლ-ქმრის კვერცხუჯრედი მოათევსეს ჩემს საშვილოსნოში და პროცესიც დაიწყო. მეექვსე თვეზე ნახეს, რომ ბავშვი პათოლოგიით იბადებოდა, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო, რომ ჯანმრთელი გაზრდილიყო და ზოგადად, ეცოცხლა. აბორტის გაკეთება დაგვიანებული გახლდათ, კაცმა გული აიცრუა, ცოლი მიატოვა და ექიმმაც მითხრა, ეგ ბავშვი არაფერში მჭირდებაო, ფული მომიგდო და გამიშვა. გავაჩინე, რა უნდა მექნა და მითხრეს, გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ აქვსო, მაგრამ სწორედ იმ ფულით, ურთულესი პროცედურები ჩავუტარე, მთელი 10 წელი უკან ვდიე და იმის მიუხედავად, რომ რეალურად, მე, უბრალოდ, სუროგატი ვიყავი, ინკუბატორი, ბავშვი შვილივით მიყვარდა. მთელი ცხოვრება მას მივუძღვენი, არც გავთხოვილვარ და არც არავინ მყოლია. ახლა კი ბიჭი კი არა, ნამდვილი სუპერვარსკვლავი მყავს. მას არაფერს ვუმალავ, ორი თვის წინ ვუთხარი, ვინ იყო მისი ნამდვილი დედა და ისიც ვუთხარი, ნახვას თუ დააპირებ, მეც წამოგყვები-მეთქი“, – დაასრულა მოყოლა ქალმა.

სამართალდამცავები ბიჭის სანახავად წავიდნენ და მალევე იპოვეს – მეგობართან ერთად ლუდს წრუპავდა.

„ფიზიკურად, მართლაც მსახიობს ჰგავდა ის ბიჭ, მაგრამ თვალები ჰქონდა ძალიან ბოროტი. იმდენად ბოროტი, რომ როდესაც შევხედე, მაშინვე სურვილი გამიჩნდა, ხელბორკილი დამედო. უდარდელად გვპასუხობდა, დედამისზე აგდებულად საუბრობდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ გარდაცვლილის სხეულიდან ოფლის წვეთების რამდენიმე ნიმუში გვქონდა აღებული და შეგვეძლო შეგვედარებინა. განყოფილებაში წავიყვანეთ, როცა ნიმუშების აღება დავუწყეთ, შეცბა, მიხვდა, რომ შეცდომა ჰქონდა დაშვებული და დაიბნა, ხოლო როცა ექსპერტიზის პასუხები დავუდეთ წინ, გაავდა, ყვირილი დაიწყო და ამ ყვირილში ყველაფერი თქვა“,-იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, ნამდვილი დედის ვინაობის გარკვევის შემდეგ, ბიჭმა თვალთვალი დაიწყო, გაარკვია, რომ ქალს არცთუ მშვიდი ცხოვრება ჰქონდა, საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა და გაარკვია ისიც, რომ ქალის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, ყველაფერი მას დარჩებოდა. ამიტომ, ქალი უბრალოდ, გაიცნო და ისიც კი წამოსცდა, მინდოდა, სექსი მქონოდა და მერე მეთქვა, რომ შვილი ვიყავი, მაგრამ იმდენად მეზიზღებოდა, ვერ შევძელიო. ტყეშიც მოტყუებით წაიყვანა, ხელებიც მოტყუებით შეუკრა, შემდეგ კი გაგუდა, უფრო ზუსტად, როგორც თავად ამბობდა, შემოეგუდა, თორემ წამებით მოკვლა სურდა.

სასამართლომ ყველაფერი გაითვალისწინა და დედის მკვლელს 15 წლთ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საპელაციოში მკვლელს 1 წელი ჩამოაკლეს.

ბათო ჯაფარიძე

დიდი მუზეუმები, თუ ისეთი გამოფენები, სადაც ძვირადღირებული ნივთებია გამოფენილი, საიმედოდაა დაცული. დამნაშავეს ძალიან, ძალიან ბევრი ფიქრი და მოხერხება მართებს, რომ მუზეუმიდან ან გამოფენიდან რამე გაიტანოს. ადრე კი ასე არ იყო, ძარცვა და ქურდობა ბევრად იოლი მოსახერხებელი გახლდათ. მეტიც, მაშინ ასეთი ქურდობების გახსნა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო და ძალიან ბევრი შეუფასებელი ნივთია დაკარგული.

საგარეო საქმეთა სამინისტროს თანაშრომელმა ანტიკვარული მონეტა მოიპარა

სკანდალური ქურდობა, რომელმაც საბჭოთა მილიცია და უშიშროება ფეხზე დააყენა

მაშინ, როცა საქართველოში კი არა, არამედ, მთელ საბჭოთა კავშირში მუზეუმებში მხოლოდ მეტალო-დეტექტორები იდგა და ექსპონატებს, უბრალოდ, თანამშრომლები დარაჯობდნენ, მოსკოვიდან გამოსაფენად მონეტები ჩამოიტანეს. ქართულმა მხარემ ბევრი იბრძოლა და იშრომა, რათა მონეტები, რომლებშიც ქართულიც ერია, ქართველებს ენახათ. რა თქმა უნდა, ტვირთი სრულიად საიდუმლოდ ჩამოვიდა და საიმედოდაც იყო დაცული. მუზეუმის შესასვლელში, იმ დროისთვის ყველაზე მგრძნობიარე მეტალო-დეტექტორი დადგეს და რკინის დიდ ნაჭერს ვინ ჩივის, ადამიანებს, რომლებსაც ოქროს კბილი ჰქონდათ და დეტექტორი აწითლებდა, გამოფენაზე არ უშვებდნენ – თავს იზღვევდნენ. ქართული მხარის გარდა, ძვირფას მონეტებს რუსი ექსპერტები და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებიც ჩამოჰყვნენ და გაფაციცებით აკვირდებოდნენ ყველას და ყველაფერს. მონეტები სპეციალურ შუშის სათავსოებში იყო დაცული, მაგრამ არცთუ მყარად – შუშის ყუთის აწევა და მონეტის გამოღება მარტივად შეიძლებოდა, თუ ამის შესაძლებლობას მოგცემდნენ.

საღამოს, როცა მუზეუმი დაიკეტა და უკანასკნელი დამთვალიერებელი გააცილეს, დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა არაადამიანური ხმით დაიყვირა – კოლექციას მონეტა აკლდა. შუშის ის ყუთი, რომელშიც შეუფასებელი მონეტა იდო, ცარიელი ჩანდა. მუზეუმის თანამშრომლებმა მილიციასა და უშიშროებაში ერთდროულად დარეკეს.

„ადგილზე მალე მივედით, უშიშროების რუსი თანამშრომლები ბოლო ხმაზე ყვიროდნენ, ეს რა გვიქენით, აქაური ქურდები როგორ ვერ უნდა მოგეთოკათ, ასეთი თავხედური დანაშაული რომ არ ჩაედინათო. ადგილზე იყვნენ მინისტრების მოადგილეები, მინისტრები კი მოსკოვს კაბინეტებიდან პატაკობდნენ. დავალება კი არა, ბრძანება მივიღეთ, რომ მონეტა ორ დღეში უნდა გვეპოვა ანუ იმ დროში უნდა ჩავტეულიყავით, როცა გამოფენის ექსპონატებს ისევ რუსეთში დააბრუნებდნენ“, -იხსენებს იმ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი, რომელსაც გრიფით საიდუმლო ედო.

დაცვის ქართველი თანამშრომელი ამბობდა, მეტალო-დეტექტორს ვერავინ გაეპარებოდა, მონეტა შენობაში უნდა ვეძებოთ, რომელიმე თანამშრომელი აიღებდა და დამალავდაო. რა თქმა უნდა, ჩხრეკა უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო, მონეტა მუზეუმის ნებისმიერ ადგილზე დაემალათ, რა დიდი ადგილი იმას უნდოდა და სამართალდამცავებს მუზეუმის შენობა აგურ-აგურ რომ დაეშალათ, შესაძლებელი იყო, მაინც ვერ მიეგნოთ. ეს იყო ყველაზე ცუდი, რაც ძალოვნებს საქმეს ურთულებდა. რაღა თქმა უნდა, ადგილზე ძაღლები მიიყვანეს, მაგრამ სპეციალური ხსნარით დამუშავებული მონეტების სუნის აღება ოთხფეხა მეგობრებმა, უბრალოდ, ვერ მოახერხეს. ისინი უმისამართოდ დარბოდნენ შენობაში და ყველა მიხვდა, რომ კინოლოგების გარჯა ამაო იყო. მუზეუმის თანამშრომლებმა გაიხსენეს, რომ ის მონეტა, რომელიც გაქრა, რუსეთიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა ექსპერტმა რამდენჯერმე შუშიდან ამოიღო და დაინტერესებულ დამთვალიერებელს ახლოდან, გამადიდებელი შუშით აჩვენა. მოიკითხეს ექსპერტი და აღმოჩნდა, რომ მას, გამოფენის დახურვამდე 20 წუთით ადრე, გულის შეტევა დაემართა, სასწრაფოს გამოუძახეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამომძიებლები მაშინვე დაცვას ეცნენ, როცა ექსპერტი ექიმებს საკაცით გაჰყავდათ, მეტალო-დეტექტორზე შეამოწმეთო და მათ მხრები აიჩეჩეს, კაცი კვდებოდა, დეტექტორი არავის გახსენებიაო.

„მაშინვე საავადმყოფოში წავედით, თუმცა იქ გვითხრეს, რომ სასწრაფო მათთან არ მისულა და არც რუსეთის მოქალაქე პაციენტი მიუყვანიათ გულის შეტევით. სასწრაფოში გავვარდით და ის ბრიგადა ვნახეთ, რომლებმაც ჩვენი ეჭვმიტანილი მუზეუმიდან წაიყვანეს და იქაც მშვიდად გვითხრეს, მძიმე მდგომარეობა გვეგონა, მაგრამ ის კაცი გზაში აზრზე მოვიდა, თავად გვითხრა, გამიშვით, გამოფენაზე უნდა დავბრუნდეო და ტაქსების გაჩერებაზე ჩამოვსვითო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ტაქსების გაჩერებაზე მისულმა სამართალდამცავებმა ადვილად იპოვეს ის მძღოლი, რომელმაც რუსი მგზავრი წაიყვანა და... რა მუზეუმი, აეროპორტში წავედით, მაჩქარებდა, ასე ამბობდა, რეისზე მაგვიანდებაო. გადაამოწმეს რეისი და ეჭვმიტანილი ჰაერში იყო – გეზი მოსკოვისკენ ეჭირა. მაშინვე რუსეთში დარეკეს და რაც მთავარია, უახლოეს რეისს აქაურ გამომძიებლებთან ერთად, რუსებიც გაჰყვნენ.

რა თქმა უნდა, ექსპერტი აეროპორტში დააკავეს, მაგრამ რად გინდა, თან მონეტა არ ჰქონდა. ხომალდის ეკიპაჟი ირწმუნებოდა, როგორც კი შეტყობინება მივიღეთ, მაშინვე ერთი მეთვალყურე მივუჩინეთ და მონეტა არც ამოუღია, არც ვინმესთვის გადაუციაო. დაკავებულმა კი ყველაფერი თითქოს მარტივად ახსნა – გულის შეტევა მქონდა, ექიმები მოვატყუე, რადგან სიკვდილის მოახლოება ვიგრძენი, მინდოდა, ამ დროს ოჯახთან ვყოფილიყავი და იმიტომ გამოვფრინდიო, მაგრამ მოსკოვში დასაბრუნებელი ბილეთი მას წინა დღით ჰქონდა შეძენილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზუსტად იცოდა, როდის და სად უნდა ყოფილიყო.

„გულახდილად გეტყვით, ჩვენ, დაახლოებით, 10 წუთი ვესაუბრეთ, შემდეგ უშიშროებამ წაიყვანა. ვიცოდი, რაც ელოდა და ვუთხარი, სჯობს, სიმართლე ჩვენ გვითხრა-მეთქი, მაგრამ უხმოდ გაჰყვა. არ ვიცი, რა უქნეს, მაგრამ 24 საათის შემდეგ, ნახევარი კაცი ვნახე, რომელსაც საუბრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ ის კი გავიგეთ, რომ არაფერი თქვა ანუ მონეტის წაღების ამბავი უარყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ძალოვნებს იმ რეისის ყველა მგზავრი შემოწმებული ჰყავდათ, ეკიპაჟის წევრებიც კი, მაგრამ მონეტა გაქრა, ვერც თბილისში პოულობდნენ და ვერც – მოსკოვში, თუმცა გაირკვა ერთი საინტერესო დეტალი – სამართალდამცავებმა ადვილად მიაგნეს დაკავებული ექსპერტის ცოლს, ის შინ იმყოფებოდა, მაგრამ არსად ჩანდა მისი ქალიშვილი და ბევრი მცდელობის მიუხედავად, კვალს ვერ მიაგნეს. ცოლი ქმარზე არანაკლებ გამძლე გამოდგა, მანაც გაუძლო უშიშროების დაკითხვას და როგორც თქვა თავიდან, არაფერი ვიცი მონეტის შესახებო, ჩვენება აღარ შეუცვლია.

უშიშროებას ეჭვი გაუჩნდა, რომ გაუჩინარებული გოგო როგორღაც დაკავშირებული იყო ამ ისტორიასთან და მასზე, პრაქტიკულად, საკავშირო ძებნა გამოაცხადეს, თუმცა არ ჩანდა არსად – არც მეგობრებთან, არც ნათესავებთან... ფეხზე დააყენეს კრიმინალური სამყაროც, მაგრამ მხრებს იჩეჩავდნენ, ამ დონის ოპერაცია ვინმე ჩვენებურს რომ გაეკეთებინა, გვეცოდინებოდაო.

მთელი საბჭთა მილიცია და უშიშროება ფეხზე იდგა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. საქმის გასაღები ისევ ექსპერტის ოჯახში უნდა ეძებნათ და... მომხდარიდან რამდენიმე დღეში, გოგონა გამოჩნდა. ის უშიშროების თანამშრომლებმა აიყვანეს, თუმცა წამება არ დასჭირვებიათ, ისედაც ყველაფერი თქვა.

„მე გამიტაცეს და არ ვიცი, რას სთხოვდნენ მამას ან დედას, მაგრამ ვიცი, რომ მათ დაშასანტაჟებლად წამიყვანეს. ვიყავი კორპუსის ბინაში, თუმცა არ ვიცი – სად. რომ გამიტაცეს, ნემსით დამაძინეს და როცა წამომიყვანეს, ისევ ნემსით, სკვერში, სკამზე გამეღვიძა“, – სულ ეს იყო, რაც გოგონამ თქვა.

შვილის ჯანმრთელად დანახვის შემდეგ, ექსპერტმა ხმამაღლა დაიწყო ყვირილი, მონეტა მე მოვიპარე, მაიძულეს, გოგონას მოკვლით მემუქრებოდნენო.

„სანამ გამოფენაზე წამოვიდოდით, ორი დღით ადრე შვილი გაქრა, შემდეგ კი ვიღაც კაცმა მომცა სქემა, როგორ უნდა მემოქმედა. მონეტის მოპარვის ამბავი იცით, ის თვითმფრინავში გადავეცი სხვას, თუმცა არ ვიცი, ვის. მე მონეტა თვითმფრინავის საპირფარეშოში უნდა დამეტოვებინა კონკრეტულ ადგილზე. დავტოვე და ვუყურებდი, მას შემდეგ თვითმფრინავის საპირფარეშოში 4 ადამიანი შევიდა და რომელმა აიღო, არ ვიცი“, – განაცხადა ექსპერტმა.

იმ ადამიანების ამოცნობა სთხოვეს და ერთ-ერთი, ჯოხიანი მოხუცი „არ მოეწონათ“. ის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო, ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ და გოგონას გათავისუფლების წინა დღეს, საფრანგეთში გაემგზავრა. საბჭოთა „კა-გე-ბეს“ ხელი ყველგან მიუწვდებოდა და საფრანგეთში მისი მოძებნა და დაკავება არ გასჭირვებია. ისიც გაიგეს, რომ მონეტას 250 ათას დოლარად ყიდდა, რაც რეალურად, მისი ღირებულების ნახევარიც კი არ იყო. რაღა თქმა უნდა, ის საბჭოთა კავშირში დააბრუნეს და დახვრეტაც მიუსაჯეს (შემდეგ 15 წლით შეუცვალეს). ხოლო ექსპერტს, ქურდობისა და დანაშაულის დაფარვისთვის, 7 წელი ერგო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიკეთში მომხდარი მკვლელობისა და ხუთი ადამიანის დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული გ.ნ., ორზე მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ყოფით ნიადაგზე მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ექვსი პირი დაჭრა. 1971 წელს დაბადებული გ.გ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დანარჩენი ხუთი პირი კი კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

ბრალდებული გ.ნ., დანაშაულის ჩადენის შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ იგი მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ცხელ კვალზე დააკავა. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ვახტანგ გომელაური თურქეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნულ ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ალი ქაან ორბაისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკის ელჩს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა. ამასთან, ვახტანგ გომელაურმა თურქეთის რესპუბლიკას ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის ქრობის სამუშაოებში სპეციალიზებული სახანძრო თვითმფრინავებით ოპერატიული დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ხაზი გაუსვეს სამართალდაცვით სფეროში ორი ქვეყნის უწყებებს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს.

ვახტანგ გომელაურმა იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო გაღრმავდება.

ბელგიის სამეფოს დელეგაცია საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის საქმიანობასა და თბილისის აეროპორტში მგზავრთა ნაკადის მართვის საკითხებს გაეცნო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანს, ნიკოლ დე მურს და დელეგაციის წევრებს მიგრაციის დეპარტამენტში უმასპინძლა.

შეხვედრაზე ალექსანდრე დარახველიძემ და მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა, მიხეილ ჩიკვაიძემ სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს დეპარტამენტის საქმიანობის, ასევე, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საერთაშორისო დაცვის კუთხით არსებული სტანდარტებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ.

ბელგიის სახელმწიფო მდივანმა, ნიკოლ დე მურმა და დელეგაციის წევრებმა, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრიც დაათვალიერეს და ადგილზე არსებულ სერვისებს გაეცნენ.

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანი, დელეგაციის წევრებთან ერთად, ასევე ეწვია თბილისის საერთაშორისო აეროპორტს, სადაც ბელგიელ სტუმრებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, გურამ დავითაშვილმა უმასპინძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ კანონში“ შესული ცვლილების შესაბამისად ამოქმედებული ე.წ. გასვლის კონტროლის განხორციელების პროცედურა, სასაზღვრო გამტარი პუნქტის საქმიანობა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებული ინფრასტრუქტურა. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ადგილზე გასცნობოდნენ მესაზღვრე-კონტროლიორების მუშაობის სპეციფიკას და კინოლოგიური სამსახურის აქტივობები ეხილათ.

პოლიციამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი პირები: 1969 წელს დაბადებული დ.გ. და 1971 წელს დაბადებული ი.პ. ორგანიზებული ჯგუფის მიერ არაერთგზის ჩადენილი ქურდობის ბრალდებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ე.წ. სკანერის გამოყენებით ხსნიდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებულ ავტომობილებს, საიდანაც პირად ნივთებსა და ფულს იპარავდნენ.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული პირები დააკავა. ნაქურდალი ნივთები და ფული ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტებით მიმდინარეობს.

საქართველო ერთა ლიგისთვის დაირაზმა

23 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში მაკედონიას ხვდება, სამი დღის შემდეგ კი გიბრალტარს ვსტუმრობთ. ერთა ლიგის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და ამ ორ შეხვედრაში, პირველი ადგილის დასაკავებლად, მთლიანობაში, 4 ქულაც გვყოფნის, მაგრამ თუ 23-ში მაკედონიას მოვუგებთ, გიბრალტართან თამაში აზრს კარგავს, რადგან პირველობას ვერავინ შეგვეცილება. თუ მაკედონიასთან დავმარცხდებით, მაშინ 3:0-ზე მეტი ანგარიშით უნდა წავაგოთ< რადგან სკოპიეში ამ ანგარიშით გვაქვს მოგებული და ურთიერთშეხვედრებში მაკედონიელებს აშკარად ვჯობნით. მოკლედ, სასწაული უნდა მოხდეს, საქართველომ ერთა ლიგაზე C დივიზიონში პირველი ადგილი არ მოიპოვოს და და სამომავლოდ B დივიზიონში არ გადავიდეს. ამას გარდა, ჯგუფში პირველი ადგილი, ევროპის ჩემპიონატის ფლეი-ოფის საგზურსაც იძლევა.

მაკედონიასთან შეხვედრისთვის ბილეთების გაყიდვა 17 სექტემბერს დაიწყო და 18 სექტემბერს დასრულდა, რადგან ყველა ბილეთი გაიყიდა. გადაჭედილ სტადიონზე სათამაშოდ, ვილი სანიოლმა შემდეგ შემადგენლობას უხმო:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), ლევან შოვნაძე („სამგურალი“);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა („კოპენჰაგენი“, დანია), სოლომონ კვირკველია („ნეფთჩი”, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), გურამ გიორბელიძე („ზაგლებიე“, პოლონეთი), ირაკლი აზაროვი („ცრვენა ზვეზდა“, სერბეთი), ჯემალ ტაბიძე („დინამო“, თბ.);

ნახევარმცველები: საბა ლობჟანიძე („ჰათაისპორი“, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე „ლეხი“, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი („დინამო“, თბ.), გიორგი აბურჯანია („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე („სლოვანი“, სლოვაკეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“, ბთ.), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია);

თავდამსხმელები: ვაკო ყაზაიშვილი („ულსან ჰიუნდაი“, სამხრეთი კორეა), გიორგი მიქაუტაძე („მეცი“, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე („ფეჰერვარი“, სეკეშფეჰერვარი, უნგრეთი).

დავითაშვილი „ბორდოს“ ახალი ვარსკვლავია

საფრანგეთის მეორე დივიზიონის ბორდოში გადასულმა ზურიკო დავითაშვილმა, ახალი გუნდის მაისურით, პირველი შეხვედრა გამართა. საბედნიეროდ, მწვრთნელი მას ბოლომდე ენდო და 90 წუთიც ათამაშა. ქართველი შემტევი მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიური იყო და „დიჟონის“ კარს არაერთხელ დაემუქრა. რაც მთავარია, ის გონივრულად ანაწილებდა პასებს და მეტოქის კართან მდგომარეობა თანაგუნდელებსაც არაერთხელ გაამწვავებინა.

შეხვედრის 87-ე წუთზე, მაშინ, როცა ანგარიში 1:1 იყო, დავითაშვილმა საოცარი დრიბლინგი განახორციელა და ულამაზესი გოლით გუნდს გამარჯვება მოუტანა. „ბორდო“ საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. შესაბამისად, გუნდი უძლიერესთა შორის დასაბრუნებლად იბრძვის და 9 ტურის შემდეგ, 17 ქულით, მესამე ადგილზეა, მეორეადგილოსან „ლე ავრს“ ქულით ჩამორჩება, ხოლო პირველ ადგილზე მყოფ „სოშოს“ – 2 ქულით.

ფრანგულმა მედიამ ქართველს დითირამბები უძღვნა, ხოლო გუნდის თავკაცმა პირდაპირ თქვა, რომ ქართველის დამატებით, გუნდმა მეტი ტექნიკურობა და მებრძოლი სული შეიძინა. „ქართველმა ბატარეამ“ 90 წუთი შეუჩერებლად ითამაშა და გამარჯვება პირადად გამოჭედა.

ესპანეთმა ევროპა მეოთხედ მოიგო

ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი, რომლის ერთ ჯგუფს საქართველომაც უმასპინძლა, დასრულდა. ნაკრების წარუმატებლობის ფონზე, თავი იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ ჯგუფში, რომელიც საქართველოში ატარებდა მატჩებს, ევროპის მომავალი ჩემპიონი, ესპანეთის ნაკრებიც ყოფილა. სწორედ რომ ყოფილა, რადგან თავიდან ვერავინ იფიქრებდა, რომ ფურია როხა საჩემპიონოდ გაიწევდა, რადგან ჯგუფში დიდად დამაჯერებელი ვერ იყო, თუმცა ესპანელები მატჩიდან მატჩამდე უმატებდნენ და ფრანგებთან ფინალურ შეხვედრას, პრაქტიკულად, პიკში შეხვდნენ.

ფინალში საფრანგეთს შანსი არ ჰქონია და აკი ესპანელებმა დამაჯერებლად, 88:76 მოიგეს. ფურია როხა კოტინენტის გამარჯვებული 2009, 2011 და 2015 წლების შემდეგ, მეოთხედ გახდა. ცნობისთვის, კვლავ გამორჩეული შეხვედრა ჩაატარეს ძმებმა ერნანგომესებმა. ვილის ანგარიშზე 14 ქულა და 8 მოხსნა იყო, ხუანჩომ კი 27 ქულა მოიპოვა და ფინალური შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

მალდინი, კალაძის ნომერი დაკარგე?

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონატში კვლავ დაუმარცხებელია. ნეაპოლელები გასულ ტურში, მოქმედ ჩემპიონ „მილანს“ „სან სიროზე“ ესტუმრნენ და დაძაბულ ბრძოლაში 1:2 დაამარცხეს. კვლავ გამორჩეული შეხვედრა ჰქონდა ქართველ შემტევს და ახლავე გეტყვით, რით იყო გამორჩეული.

დავიწყოთ იმით, რომ მილანელთა თავკაცმა სტეფანო პიოლიმ, კვარაცხელიას ფლანგზე ორი გამოცდილი მცველი – დანიელი სიმონ კაერი და იტალიელი დავიდე კალაბრია დააყენა. კაერმა ყვითელი ბარათი მე-18 წუთზე ხვიჩას წაქცევისთვის მიიღო, კალაბრიამ კი იგივე 45-ე წუთზე გააკეთა და მწვრთნელი მიხვდა, რომ აქტიური ქართველი მეორე ნახევარში, ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად წითელს აკიდებდა, ამიტომ მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, ორივე მცველი მოედნიდან გაიყვანა და დაცვის სქემაც გადააწყო. კვარაცხელიას დაჭერა ბოსნიელ რადე კრუნიჩს დაევალა და მან დავლებას თავი „წარმატებით“ გაართვა – 53-ე წუთზე, ქართველი საკუთარ საჯარიმოში მოცელა და ყვითელ ბარათთან ერთად, პენალტიც აიკიდა.

7 ტურის შემდეგ, იტალიის ჩემპიონატში მხოლოდ ორი დაუმარცხებელი გუნდია – „ნაპოლი“ და „ატალანტა. ორივეს 17-17 ქულა აქვს, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო, პირველ ადგილზე ნეაპოლელები არიან. ახლა, რაც შეეხება მატჩის შემდგომ გამოხმაურებებს. „მილანის“ გულშემატკივრები სოციალურ ქსელში გაბრაზებას არ მალავდნენ და ყველაზე მეტი აგრესია კლუბის სპორტულ დირექტორს, ლეგენდარულ პაოლო მალდინის ერგო.

„მალდინი, კალაძის ნომერი დაკარგე? არ შეგეძლო, დაგერეკა და კვარაცხელია „ნაპოლის“ კი არა, „მილანს“ ეყიდა. ასეთ შემთხვევაში, პირველ ადგილზე ახლა ჩვენ ვიქნებოდით“, – წერენ იტალიელები.

ცნობისთვის, კალაძეს მილანიდან კვარაცხელიას თაობაზე დაუკავშირდნენ, მაგრამ შემდეგ მათ რაღაც არ მოეწონათ და საბოლოოდ, ხვიჩა „ნაპოლიში“ აღმოჩნდა.

ისტორიაში პირველად – მსოფლიოზე ყველა წონაში მედლის იმედად

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მაჩანჩალა არასდროს ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტოკიოს ოლიმპიადაზე ოთხი ფინალი ვიჭიდავეთ, სხვა ამბიციები გაგვიჩნდა. გულშემატკივარი ჩვენი ბიჭებისგან მედალს ყველა დიდ თუ მცირე ტურნირზე ითხოვს და აგერ, კარს მსოფლიოს ჩემპიონატი მოგვადგა. პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტები, უზბეკეთის დედაქალაქში ოქტომბრის დასაწყისში ჩავლენ, 6-13 ოქტომბერს კი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. აქამდე არაერთხელ ყოფილა, გულშემატკივარსა თუ მწვრთნელს უთქვამს, მედლის მოპოვების შანსი ყველა წონაში გვაქვსო, მაგრამ მცირე ხარვეზი ამ განცხადების სიმყარეს ყოველთვის ახლდა ხოლმე. ახლა კი... ახლა ნაკრებში ისეთი შემადგენლობაა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, გასაკვირი იქნება, თუ ყველა წონაში მედალს ვერ მოვიპოვებთ. ლაშა გუჯეჯიანმა უზბეკეთისთვის ძალიან ძლიერი შემადგენლობა დაასახელა: -60კგ. -ლუხუმ ჩხვიმიანი, -66 კგ. – ვაჟა მარგველაშვილი, -73კგ. – ლაშა შავდათუაშვილი, -81კგ. – ტატო გრიგალაშვილი, -90კგ. – ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე, -100კგ. – ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, +100კგ. – გურამ თუშიშვილი. გუნდური პირველობისთვის ნაკრებს გიორგი ტერაშვილი (-73კგ.) და ბექა ღვინიაშვილი (-90კგ.) დაემატებიან.

რაც შეეხებათ გოგონებს, უზბეკეთში, საქართველოს ნაკრების ღირსებას ეთერ ლიპარტელიანი და სოფიო სომხიშვილი დაიცავენ, თუმცა არ არის გამორიცხული, დუეტს კიდევ ერთი გოგონა დაემატოს.

პოგბას ძმა პოგბასთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს

ცოტა ხნის წინ, ტურინის „იუვენტუსისა“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა, პოლ პოგბამ სამართალდამცავებს მიმართა და განაცხადა, რომ მას რომელიღაც ბანდის წევრები ემუქრებოდნენ და ფულს სძალავდნენ. საუბარი 13 მილიონ ევროზე იყო ანუ იმაზე ცოტა ნაკლებ თანხაზე, ვიდრე ფეხბურთელი წელიწადში, ხელფასის სახით იღებს. რაც მთავარია, პოგბამ აღნიშნა, რომ საქმეში მისი გარემოცვის წევრი უნდა ყოფილიყო გარეული, რადგან ბანდას მის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჰქონდა და მათ იცოდნენ არათუ ის, როდის და სად გადაადგილდებოდა ფეხბურთელი, არამედ ისიც, რას მიირთმევდა სადილად და ვახშმად. განცხადებასთან ერთად, პოგბამ ოჯახის წევრებისთვის დაცვა გააძლიერა და ცდილობდა ისინი მოსალოდნელი საფრთხისგან დაეცვა.

სამართალდამცავებმა სანიმუშოდ იმუშავეს და ბანდის ოთხ წევრთან ერთად, გამოძალვის ინიციატორი და ორგანიზატორი, პოლ პოგბას ძმა, მატიას პოგბა დააკავეს. ახლა მათ სასამართლო ელით, მაგრამ...

„მე ბიზნესისთვის 10 მილიონი მჭირდებოდა, პოლი კი არ მაძლევდა. შევეცადე, ფული ამ გზით მეშოვნა, რად მინდა მის მიერ ნაჩუქარი სახლები და მანქანები, რად მინდა თვეში მათხოვრული 100 ათასი ევრო, მე დიდი მიზნები მქონდა“, – ეს უთქვამს მატიას პოგბას და მართალიცაა. არაფერში სახლები, მანქანები და თვეში 100 ათასი რომ გაქვს, როგორ უნდა შეირგო, მით უმეტეს, როცა იცი, რომ ძმა მილიონებს აკეთებს. კიდევ კარგი, საკუთარი ძმა არ გაატაცებინა.

დედოფალი მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

ერუსა ხავთასი

19 სექტემბერს დაკრძალეს ადამიანი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივად ატარებდა სამეფო გვირგვინს. დედოფალმა ელისაბედ მეორემ მთელი ცხოვრება საზოგადოების ყურადღების ცენტრში გაატარა. ძალიან ბევრი ადამიანისთვის მან მონარქიის მნიშვნელობა და მის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა, სწორედ ამიტომ, უამრავი ადამიანი გულწრფელად გლოვობს მის გარდაცვალებას. „ვერსია“ დედოფლის ცხოვრებას ფოტოსურათების დახმარებით გაგახსენებთ.

ელისაბედ ალექსანდრა მერი უინდძორი 1926 წლის 21 აპრილს დაიბადა. ის იორკის ჰერცოგის ჯორჯისა და მისი ცოლის, ელისაბედის პირველი შვილია.

ელისაბედი თავდაპირველად არ მოიაზრებოდა ტახტის მემკვიდრედ. მისი ბიძა, უელსის პრინცი ედუარდი ახალგაზრდა იყო და სწორედ მას ეკუთვნოდა ტახტი. ელისაბედმა განათლება სასახლეში, თავის უმცროს დასთან, მარგარეტთან ერთად მიიღო.

ჯორჯ V-ის გარდაცვალების შემდეგ ედუარდმა უარი თქვა ტახტზე. 1936 წელს, ის ელისაბედის მამამ, ჯორჯ VI-მ დაიკავა, ხოლო ელისაბედი ტახტის პირველი მემკვიდრე გახდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ელისაბედი შოტლანდიაში, უსაფრთხოდ იმყოფებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ლონდონში დაბრუნდა. 1940 წელს, 13 წლის ასაკში, რადიოს საშუალებით, მან ოფიციალურად, პირველად მიმართა ხალხს. ელისაბედმა განაცხადა, რომ ყველაფერს აკეთებდა, რათა ომი კარგად დამთავრებულიყო.

მძიმე პერიოდში, ელისაბედი ხალხს ისე ეხმარებოდა, როგორც შეეძლო. ის უარს არ ამბობდა ემუშავა მუშად და მექანიკოსადაც კი.

1947 წლის 20 ნოემბერს, ელისაბედი და ფილიპი დაქორწინდნენ, რომელიც ედინბურგის ჰერცოგი გახდა. ისინი ერთმანეთის შორეული ნათესავები იყვნენ და პირველი შეხვდრის დროს, ელისაბედი 13 წლის იყო. მეორედ შეხვედრის შემდეგ, მათ შორის აქტიური მიმოწერა დაიწყო, რის შემდეგაც ერთმანეთი შეუყვარდათ კიდეც.

1948 წელს, წყვილს პირველი შვილი, ჩარლზი შეეძინა. 1950 წელს კი მეორე შვილი, ანა დაიბადა.

1952 წლის 6 თებერვალს, ფილიპი და ელისაბედი ვიზიტით კენიაში იმყოფებოდნენ. მეფე ჯორჯ VI-ეს ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუმძიმდა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ელისაბედი სასწრაფოდ დაბრუნდა ლონდონში, მაგრამ უკვე დედოფლის და არა – პრინცესას სტატუსით.

დასასრული მე-16 გვერდზე

ფოტოებით მოყოლილი დედოფლის ცხოვრება



დედოფალი მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

მე-15 გვერდიდან

ელისაბედი ტახტზე ავიდა 1952 წლის 6 თებერვალს, ხოლო მისი კორონაცია 1953 წლის 2 ივნისს შედგა. მაშინ ის, სულ რაღაც, 25 წლის იყო.

კორონაციის შემდეგ, ელისაბედ მეორე და მისი მეუღლე ბუკინგემის სასახლის აივნიდან მესალმნენ მოსახლეობას.

1957 წელს, შობის დღესასწაულზე, დედოფალმა მოსახლეობას პირველად მიმართა, რაც ტელევიზიითაც გადაიცა. ამის შემდეგ, ამგვარი მიმართვა ტრადიციად ჩამოყალიბდა და ბევრი ბრიტანელისთვის შობის დღესასწაულის საყვარელ ნაწილად იქცა.

დედოფალი ელისაბედი თავის საყვარელ კორგებთან ერთად – მას ბავშვობიდან უყვარდა შინაური ცხოველები, მათ შორის, ცხენები. ის ძალიან კარგად ჯირითობდა.

1969 წელს, პრინცმა ჩარლზმა დედოფლისგან ოფიციალურად მიიღო უელსის პრინცის სამეფო ტიტული. ის ტახტის მემკვიდრე სამი წლის ასაკში გახდა, თუმცა დიდი ხნით გადადებული გრანდიოზული ცერემონია დედოფლის დაჟინებული მოთხოვნით მაინც ჩატარდა. დედოფლის თქმით, ამ ცერემონიით, ჩარლზს ბოლომდე უნდა გაეაზრებინა დაკისრებული პასუხისმგებლობა.

უინდზორის ოჯახის 1969 წლის პორტრეტი – დედოფალი ელისაბედი, პრინცი ფილიპი და მათი ოთხი შვილი: პრინცესა ანა, პრინცი ჩარლზი, პრინცი ედუარდი (უკანა ფონზე) და პრინცი ენდრიუ (მშობლებთან ერთად).

1977 წელს, დედოფალმა იზეიმა ვერცხლის ანუ კორონაციიდან 25 წლისთავი.

1981 წლის 29 ივლისს, პრინცი ჩარლზი დიანა სპენსერზე დაქორწინდა. სამეფო ქორწილს ესწრებოდა ევროპის სამეფო სახლების მრავალი წარმომადგენელი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლე, ნენსი რეიგანი.

1992 წლის საშობაო მიმართვაში, დედოფალმა ელისაბედმა განვლილ წელს „ანნუს ჰორრიბილის“ ანუ საშინელი წელი უწოდა. სწორედ ამ წელს შეიტყო საზოგადოებამ მისი სამი შვილის განქორწინების ამბავი და უინდზორის სასახლეში ხანძარი გაჩნდა.

1997 წელს, გარდაიცვალა პრინცესა დიანა, რომელიც საზოგადოებას ძალიან უყვარდა. მოსახლეობა აკრიტიკებდა დედოფალს იმის გამო, რომ მძიმე პერიოდში, კამერების წინ არ ჩნდებოდა და არ ესაუბრებოდა ხალხს. სულ მალე, ელისაბედი ბუკინგემის სასახლის წინ, პირდაპირ ეთერში გამოჩნდა.

2000 წელიც ძალიან მძიმე აღმოჩნდა დედოფლისთვის, რადგან შვიდკვირიანი ინტერვალით, ჯერ დედოფლის დედა და შემდეგ მისი და, პრინცესა მარგარეტი გარდაიცვალნენ.

4 ივნისს, დედოფალმა გადაიხადა ოქროს ანუ 50 წლისთავი, რომელსაც მილიონობით ადამიანი დაესწრო.

2005 წლის აპრილში, ჩარლზი დაქორწინდა კამილა პარკერ-ბოულზზე. ისინი მანამდე, დიდი ხნის განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს და სასიყვარულო ურთიერთობაში ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან იყვნენ.

დედოფლისთვის ერთ-ერთი ბედნიერი დღე იყო 2011 წლის 29 აპრილი, როდესაც პრინცი უილიამი დაქორწინდა ქეთრინ მიდლტონზე. სურათზე ასახულია წყვილის რევერანსი დედოფლის წინაშე.

2016 წლის ივნისში, დედოფალს, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად, სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც შეუერთდნენ. ელისაბედი 90 წლის გახდა.

დედოფლის ოჯახი კიდევ უფრო გაიზარდა. მისი შვილიშვილი, პრინცი ჰარი 2018 წლის 19 მაისს, მეგან მარკლიზე დაქორწინდა. სურათზე მათ შვილთან, არჩისთან შეხვედრაა ასახული.

2021 წლის აპრილში, დედოფლის მეუღლე ფილიპი გარდაიცვალა, რომელმაც მასთან ერთად, 60 წელზე მეტი გაატარა.

დედოფალს 4 შვილი, 8 შვილიშვილი და 12 შვილთაშვილი დარჩა.

მზის ენერგიიდან საწვავს მიიღებენ

შვეიცარიულმა კომპანიამ მსოფლიოში პირველი სამრეწველო საწარმოს აშენების შესახებ განაცხადა, რომელიც მზის ენერგიიდან სინთეზ-გაზს მიიღებს. ამის შემდეგ, მას უპრობლემოდ გადაამუშავებენ ნავთად ან ბენზინად. სადგური DAWN ენერგიას ჰელიოსტატების მეშვეობით მიიღებს და მას სინთეზ-გაზად გარდაქმნის. ჯერჯერობით, საწარმოს სიმძლავრე მცირეა - სულ 150 ტონა საწვავი წელიწადში. 2030 წლისთვის, შვეიცარიელები ასეთი ქარხანა-სადგურების ქსელის აშენებას გეგმავენ. ამ შემთხვევაში, წელიწადში 875 ათასი ტონა საწვავის მიღებას შეძლებენ.

ულკოჰოლო სასმელი პელმენის გემოთი

უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელმა იაპონურმა კომპანია Nagai Garden-მა მეტად საკამათო პროდუქტი - Gyoza გამოუშვა, შემწვარი პელმენების გემოთი. გაზიან წყალს ჩილის, ძმრის, სოიოს სოუსის, ნივრისა და კოჭას იმდენად მძაფრი სუნი აქვს, რომ მწარმოებელი მყიდველს ურჩევს, ბოთლი ღია ცის ქვეშ გახსნას. პელმენების უჩვეულო გემოს, მძაფრი სუნისა და ცნობისმოყვარეობის წყალობით, სასმელი საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში. ბევრი მას მსოფლიოში ყველაზე ცუდ გაზიან სასმელს უწოდებს, არადა, ის ერთგვარი საკულტო ჰიტი, გამოწვევაც კი გახდა მეგობრებს შორის. ჯერჯერობით, ახალი უალკოჰოლო სასმელი ხელმისაწვდომია მხოლოდ ამომავალი მზის ქვეყანაში.

აბორტამდე, ბავშვის გულისცემას მოასმენინებენ

უნგრეთის მთავრობამ შესწორება შეიტანა ორსულობის შეწყვეტის წესებში. ამიერიდან, ექიმები ვალდებულნი არიან, აბორტის მსურველ ქალებს ნაყოფის სასიცოცხლო მაჩვენებლები აჩვენონ. მაგალითად, ორსულებს აიძულებენ, ბავშვის გულისცემას მოუსმინონ. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ახალი წესები პროცედურის თაობაზე ქალების სრული ინფორმირებისთვისაა საჭირო, თუმცა ბევრი ამ შესწორებას ორსულობის შეწყვეტის პირობების გამკაცრებად აღიქვამს. უფლებადამცველების თქმით, კონსერვატიული მთავრობა ვერ შეძლებს აბორტის აკრძალვას, რადგან ბევრი უნგრელი არ ემხრობა ამ გადაწყვეტილებას, ამიტომ შეზღუდვები ნელ-ნელა შემოაქვთ.

ქალაქი ხორცის რეკლამას კრძალავს

ჰოლანდიური ჰარლემი პირველი ქალაქი იქნება მსოფლიოში, სადაც საზოგადოებრივ ადგილებში, ხორცის რეკლამა აიკრძალება. კანონი ძალაში 2024 წელს შევა. ამოქმედების ვადა მწარმოებლებთან უკვე არსებული კონტრაქტების გამო გადასწიეს. ქალაქის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ეს ღონიძიება კლიმატურ კრიზისთან ბრძოლაში დაეხმარებათ.

„ჩვენ არ ვაპირებთ, ადამიანებს მივუთითოთ, რა მოხარშონ ან შეწვან საკუთარ სამზარეულოში. ვისაც ხორცის ჭამა უნდა, მიირთვას. თუმცა ჩვენ ვერ ვისაუბრებთ კლიმატურ კრიზისზე და ამავდროულად, ადამიანებს ვერ მოვუწოდებთ, შეიძინონ ისეთი პროდუქტები, რომელთა წარმოებაც ამ კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია„, - აცხადებენ კანონის ინიციატორები. 160-ათასიან ქალაქში, ხორცპროდუქტების რეკლამას აკრძალავენ ავტობუსებში, გაჩერებებზე, სითილაითებსა და ბილბორდებზე.

დეპრესიის დიაგნოზს სმარტფონი დასვამს

IPhone-ის მწარმოებელი კომპანია Apple გეგმავს, შექმნას ტექნოლოგია, რომელიც მომხმარებლებში დეპრესიასა და ფსიქოლოგიურ პრობლემებს აღმოაჩენს. კომპანია ამ საკითხზე კალიფორნიის უნივერსიტეტთან და ფარმაცევტულ ფირმა Biogen-თან თანამშრომლობს. ახალი პროექტის კვლევის ფარგლებში, რომელიც შარშან დაიწყო, კომპანიის სპეციალისტებმა IPhone-სა და Apple Watch-ის დახმარებით, 150 მოხალისის შესახებ შეაგროვეს მონაცემები. წლის ბოლომდე, კვლევაში კიდევ 3000 ადამიანის ჩართვა იგეგმება.

რობოტი კომპანიის დირექტორია

ჩინურმა IT-კომპანია NetDragon Websoft-მა ახალი გენერალური დირექტორი დანიშნა. თანამდებობა ქალბატონმა ტან იუიმ დაიკავა - ვირტუალურმა, ადამიანის მსგავსმა რობოტმა, ხელოვნური ინტელექტით. ტანი მსოფლიოში პირველი ქალი-რობოტია ასეთ თანამდებობაზე. „ჭკვიანი მანქანა“ მიიღებს გადაწყვეტილებებს რისკების მართვის თაობაზე, ასევე დაკავდება საკადრო პოლიტიკით. ვარაუდობენ, რომ ახალი დირექტორი პროცესების ოპტიმიზაციას განახორციელებს და სამართლიანი იქნება ყველა თანამშრომლის მიმართ. „მიგვაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი კორპორატიული მმართველობის მომავალია“, - აცხადებენ კომპანიის მესვეურები.

ჩიფსები „სმარტფონის გემოთი“

Google-მა კარტოფილის ჩიფსების ლიმიტირებული სერია წარადგინა, რომელსაც Pixel 7 და Pixel 7 Pro-ის „სმარტფონების გამო“ აქვს. სულ 2 ათასი ასეთი შეფუთვა გამოუშვეს. ჩიფსების შეძენა შეუძლებელია, რადგან მხოლოდ ლატარიაში თამაშდება. ეს ღონისძიება Google-ის ახალი სმარტფონების პრეზენტაციას ეძღვნება, რომელიც მომავალი თვის დასაწყისში შედგება. ლატარიაში ჩიფსების ოთხი „გემო“ გათამაშდება, რომელთა სახელებიც მომავალი სმარტფონების ფერებზე მიანიშნებს – „ობსიდიანის წიწაკა“, „თოვლიანი ყველი“, „თხილიანი ხახვი“ და „დამარილებული ლიმონი“. ჩიფსების უჩვეულო „გემოების“ გარდა, მომხმარებელი მის უნიკალურ შეფუთვასაც მიიღებს. ისინი პაკეტების ნაცვლად, ყუთებში იქნება ჩაყრილი და თან სმარტფონების დიზაინის მსგავსად გაფორმდება.

თანამედროვე რობინ ჰუდი დააკავეს

ინდოელმა სამართალდამცავებმა დამნაშავე დააკავეს, რომლის მეტსახელიც დელიელი რობინ ჰუდია. ვაშიმ აკრამი ყაჩაღურ თავდასხმებს აწყობდა თავის 25-კაციან ბანდასთან ერთად, ნაძარცვის ნაწილს კი ღატაკებს ურიგებდა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მამაკაცი და მისი თანამზრახველები მდიდრების სახლებს „ასუფთავებდნენ“, გაჰქონდათ ფული და ძვირფასეულობა. მართალია, ნაქურდალის ნაწილს ღარიბებს აძლევდნენ, მაგრამ დედაქალაქელი პოლიციელების თქმით, აკრამი და მისი ბანდა სულაც არ ჰგვანან კეთილშობილ რობინ ჰუდსა და მის თანამებრძოლებს: მოპარულის უდიდეს ნაწილს ისინი თავისთვის იტოვებდნენ. დამნაშავეები გისოსებს მიღმა არიან, ახლა ჯერი სასამართლოზეა.

პლასტმასის ნაგვის მუზეუმი გახსნეს

ინდონეზიელმა ეკოაქტივისტებმა ქალაქ გრესიკში მუზეუმი გახსნეს, რომელიც მთლიანად პლასტმასის ნარჩენებისგანაა შექმნილი. გარემოსდამცველები აპირებენ, ამგვარად მაინც მიაპყრონ ყურადღება ოკეანის დაბინძურების პრობლემას. ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოსაწყობად აქტივისტებმა სამი თვე დახარჯეს. ის 10 ათასი პლასტმასის ნარჩენისგან – ბოთლების, პაკეტებისა და სხვა ნაგვისგან შექმნეს, რაც „მწვანეებმა“ დაბინძურებულ წყალსა თუ პლაჟებზე მოაგროვეს. მუზეუმის მთავარი ექსპონატია ღვთაება დევა შრის ქანდაკება, რომლის კაბაც პაკეტებისგან „შეკერეს“. მუზეუმი ცოტა ხნის წინ გაიხსნა და ის უკვე რამდენიმე ასეულმა სტუმარმა მოინახულა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის შემდეგ, ინდონეზია ჩვენს პლანეტაზე მეორე ადგილს იკავებს ზღვაში გადაყრილი პლასტიკის რაოდენობით.

კაკალი სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის

ყოველდღიურად ნიგვზის მოხმარება ნაწლავებში ზრდის სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სწავლულები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომელშიც 30-დან 65 წლამდე ასაკის ჭარბი წონის მქონე მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დიეტაში ნაჯერი ცხიმები შეცვალეს კაკლითა და მცენარეული ცხიმებით. ექვსკვირიანი ექსპერიმენტის შემდეგ გაირკვა, რომ ნიგვზის ყოველდღიური მოხმარება იწვევს სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის ზრდას ნაწლავებში. დღეში 50-80 გრამი ნიგოზიც კი, დადებით გავლენას ახდენს ნაწლავების მიკროფლორაზე, ამცირებს გულის დაავადებების რისკს და ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებას, – აცხადებენ ექსპერტები.

ხელოვნური ნერვი შექმნეს

შვედეთის ლინჩეპინგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შექმნეს და მსოფლიოს წარუდგინეს ხელოვნური ნერვი. ამ თემაზე სწავლულები 10 წელიწადს მუშაობდნენ. ასეთი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, გამა-ამინომჟავები და სხვა პრეპარატები თითქმის ისეთივე სისწრაფით გადასცეს, როგორც გადასცემს სიგნალებს ნერვული სისტემა. მკვლევარებმა საკუთარ გამოგონებას „იონური ტუმბო“ უწოდეს. ის უპრობლემოდ შეძლებს ურთიერთქმედებას ადამიანის ნერვულ სისტემასთან, – აცხადებენ სწავლულები. ისინი მზად არიან, ტექნოლოგიის ტესტირება დაიწყონ ცოცხალ უჯრედებზე. მათი თქმით, „იონური ტუმბო“ შეიძლება გამოიყენონ ქრონიკული ტკივილების მკურნალობისას, ან ეპილეფსიური შეტევის შეჩერების მიზნით.

მეცნიერები გვეტყვიან, რამდენ ხანს ვიცოცხლებთ

სპეციალისტებმა დიდი ბრიტანეთიდან შეძლეს ისეთი მოწყობილობის შექმნა, რომელიც ადამიანის დარჩენილი ცხოვრების დროს განსაზღვრავს. გარეგნულად ის მაჯის საათს მოგაგონებთ, გამოგონება კი ლაზერულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ამ შემთხვევაში, ხდება ადამიანის ორგანიზმის ენდოთელიალური უჯრედების მდგომარეობის მონიტორინგი კანის ზედაპირის მეშვეობით. ამ ტიპის უჯრედები მონაწილეობენ სისხლძარღვთა სისტემის ფორმირებაში. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, ამ უჯრედების ნაკადი შეცვალოს და მიღებული მონაცემების ანალიზით, ადამიანის დაბერების პროცესის სიჩქარე გამოთვალოს. მიღებული მაჩვენებლები კი ასქულიანი შკალის მიხედვით ფასდება. ასი ქულით ფასდება ახალგაზრდა, ნორმალურად ფუნქციონირებადი ორგანიზმი, რომელსაც სამედიცინო ჩარევა არ სჭირდება. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან აღნიშნავენ, რომ დაახლოებით, სამ წელიწადში, ამ მოწყობილობას სამედიცინო დაწესებულებებში გამოიყენებენ.

სუნამო თოვლის არომატით

მოდის ფრანგულმა ბრენდმა Moncler-მა პარფიუმერული ხაზის გახსნა გადაწყვიტა და თავისი პირველი არომატიც გამოუშვა. ახალ სუნამოს ორი ვერსია აქვს – ქალისა (Moncler Pour Femme) და მამაკაცის (Moncler Pour Homme). ახალი პარფიუმის კომპოზიცია დათოვლილ მთებს ეძღვნება, რადგან ბრენდმა საქმიანობა მოთხილამურეებისთვის ტანსაცმლის შექმნით დაიწყო. პარფიუმერმა ნისრინ ფრილიემ ქალებისთვის „პუდრის თოვლი“ შექმნა, რომელიც მშვიდ ზამთრის ამინდს მოგაგონებთ. მამაკაცებისთვის კი არომატი ანტუან მეზონდიემ შეარჩია, რომელმაც სუნამოს „მთის ტყის“ აკორდი შემატა. ახალი პარფიუმის გაყიდვები ერთი კვირის წინ დაიწყო.

ნაბახუსევს ნაყინით „უმკურნალებენ“

სამხრეთ კორეაში დაიწყო ახალი ნაყინის გაყიდვა, რომელიც ადამიანს ნაბახუსევიდან გამოსვლაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებლები, ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმარებით, პირველ ადგილზე არიან აზიაში. არსებული მონაცემებით, ნაბახუსევისთვის საჭირო საშუალებების გაყიდვები წელიწადში 150 მილიარდ ვონს (დაახლოებით, 126 მილიონი დოლარი) შეადგენს. კორეელები ამტკიცებენ, რომ ეს პირველი ნაყინია მსოფლიოში, რომელიც სპეციალურად, სპირტიანი სასმელების მოხმარების შედეგების წინააღმდეგ შექმნეს. ამ ცივი „სამკურნალო“ დესერტის შემადგენლობაში შედის მცენარის ტკბილი წვენი, რომელსაც ტრადიციულად, ნაბახუსევზე იყენებენ. ჩოტა ხნის წინ, კიდევ ერთი, „უჩვეულო“ ნაყინი ისლანდიელებმა მოიფიქრეს, რომელსაც „პანამის ოფშორის“ გემო აქვს.

მილიონებად შეაფასებული მორი „დაიჭირა“

ჩინელმა მეთევზემ ხის უზარმაზარი ნაჭერი ამოიღო წყლიდან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მილიონობით დოლარი ღირს. მამაკაცი მეტად გუნებაწამხდარი იყო ამ უჩვეულო „ნადავლის“ გამო, მაგრამ უცებ ძლიერი სუნი იგრძნო. როცა ხის მორს ქერქიდან პატარა ფენა აათალა, მაშინვე მიხვდა, რომ არწივის ხის უზარმაზარი მორის პატრონი იყო. ის ალოეს ხის სახელითაცაა ცნობილი და მედიცინასა და პარფიუმერიაში გამოიყენება. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ხის უშველებელი ნაჭერი, სამმეტრიანი დიამეტრით, ნამდვილად არწივის ხე იყო და ის მილიარდი ჰონგ-კონგური დოლარი (128 მილიონი აშშ დოლარი) ღირს. მეთევზე აპირებს, გაყიდოს ეს იღბლიანი „ნადავლი“ და მიღებული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოახმაროს.

პირველი ეკოსასაფლაო გახსნეს

ბელგიურ ფლანდრიაში, მსოფლიოში პირველი ეკოსასაფლაო გაიხსნა. აქ, ამ უჩვეულო სამარხზე, აკრძალულია საფლავის ქვის დადგმა, ბილიკის მიყვანა, მაგიდების გამართვა. მიცვალებულის დამარხვა მხოლოდ ბიოხრწნადი კუბოთია ნებადართული, რომელსაც გადამუშავებული მასალებით ამზადებენ. ახალი სასაფლაო 600-ადგილიანია, თუმცა ეს ადგილები არ იყიდება, მხოლოდ 25-წლიანი იჯარით გაიცემა. პროექტის ავტორების გათვლით, სწორედ ამდენი დროა საჭირო, ადამიანის გვამი ბუნების ნაწილად რომ იქცეს. სასაფლაოზე ყველა ობიექტი (მაგალითად, სკამები, ადგილის მაჩვენებელი ნიშნები) კუნძებისა და გამოხშირული ხეებისგანაა დამზადებული, ნაკვეთის გასწვრივ კი ალუბლის ხეები იზრდება. გარდაცვლილთა ახლობლებს შეუძლიათ, ხის ტოტებზე ჩიტებისთვის სახლები ჩამოკიდონ, რომლებზეც მიცვალებულის საპატივსაცემოდ, მის სახელს დააწერენ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.